ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 29 (56)

20 დეკემბერი, 1991 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მუხლი — 206

ხვალ, 1989 წლის 19 მაისს, 9 აპრილს დაღუპულთა ორმოცია. ქალაქში დიდი ფუსფუსია. საპროტესტო დემონსტრაცია-მანიფესტაციისათვის ემზადება სტუდენტობა...

14 საათია. ჩემთან უნივერსიტეტში მოვიდნენ პროფესორი ზურაბ ფორაქიშვილი და ბატონი მამია დარჩია.

— ჩვენ ბატონმა შოთა გორგოძემ (შინაგან საქმეთა მინისტრი) გვთხოვა, იქნებ თქვენ დღეს შესძლოთ იმ ლიდერების შეკრება, რომლებიც ციხეში არ არიან; ხვალისთვის რომ რაღაც ექსცესები არ მოხდეს.

— არაფერი გამოვა, ამისთვის საჭიროა დღესვე ოთხივე პოლიტპატიმარი- ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გიორგი ჭანტურია და ირაკლი წერეთელი გაათავისუფლოთ. ხვალ უკვე გვიან იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს 9 აპრილზე უფრო მწარე ტრაგედიაც...

ისინი წავიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის ფიქრია ჩიხრაძე ორ სტუდენტ გოგონასთან ერთად და მთხოვს — ვიზრუნო ეროვნული მოძრაობის ლიდერების გათავისუფლებისათვის. ვურეკავ ცკ-ს პირველ მდივანს გივი გუმბარიძეს.

— ბატონო გივი, ჩემთან არიან სტუდენტები და გვთხოვენ, რამენაირად შევძლოთ, ხვალისთვის გავათავისუფლოთ დაკავებული ლიდერები.

— იცით რა, ბატონო ვახტანგ, მე მესმის თქვენი, სტუდენტებისა, მაგრამ ეს მთლად ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ხომ იცით, ზევით როგორ უყურებენ ყველაფერს, მაგრამ მე მაინც ვეცდები... ხვალისთვის აბა რა გითხრათ...

-არა, ბატონო გივი, ხვალ უკვე გვიან იქნება. თუ გინდათ თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი უბედურება დღესვე უნდა გავათავისუფლოთ, გიმეორებთ. ხვალ უკვე აზრი აღარ აქვს...

-კარგი, კარგი, ვეცდები...

შემდეგ ტელეფონით დაგვიკავშირდა ისევ ბატონი ზურაბ ფორაქიშვილი და დასახელებულ სტუდენტებთან ერთად წავედი ბატონ შოთა გორგოძესთან. იგი შეშფოთებული იყო. ჩვენს მოთხოვნაზე,— გავათავისუფლოთ დაკავებულებიო, მან აგვიხსნა, რომ ეს მასზე არ არის დამოკიდებული, ეს პროკურატურის საქმეაო. ბატონმა შოთამ წამიყვანა რესპუბლიკის პროკურორთან, ბატონ ვახტანგ რაზმაძესთან. რაზმაძე შეწუხებული მხრებს იჩეჩდა, ჩვენ ვინ გვეკითხება, უკან მოსკოვიაო. ტელეფონით დაელაპარაკა გუმბარიძეს. შემდეგ რაზმაძე ირონიით მეუბნება:

-ესენი რომ გავუშვათ, მერე მე რომ დამიჭირონ, შენ მე დამიცავ?

-აბა რას ვიზამ!

ეს სიტყვები გამახსენდა ვ.რაზმაძის მოადგილის კაბინეტში 1991 წლის 30 აგვისტოს, ჩემი დაკითხვისას, როცა მე მათ განვუცხადე მზადყოფნა ჩემი დაპატიმრებისათვის. მაშინ პროკურატურამ არ აიღო თავის თავზე ჩემი დაპატიმრება. ჯერჯერობით მხოლოდ დასაჭერთა სიაში ვარ, პრეზიდენტისაგან კრემლის აგენტად წოდებული.

-ბატონო ვახტანგ-ვეკითხები პროკურორს-რომელი მუხლი აქვთ წაყენებული?

-206!

-აჰა,206!...

როგორც ჩანს, ამ მუხლს „კაი" ბედი აქვს!

პროკურორთან თითქმის ერთ საათს ვიყავი. მოსკოვსაც დაელაპარაკა ჩემთვის არც მთლად გასაგებ ენაზე, ნახევარტონებში. შემდეგ მითხრა-სასწრაფოდ მომიტანე უნივერსიტეტის შუამდგომლობაცო. იმ ხანად წერილობითი შუამდგომლობები ისედაც ბევრი იყო გაგზავნილი ცკ-ში. დღე იწურებოდა, მივვარდი უნივერსიტეტში, სასწრაფოდ გავამზადეთ ეს შუამდგომლობაც და წავუღე პროკურორს. ვატყობ მონდომებას, მაგრამ ჯერჯერობით იმედს ვერ იძლევა პროკურორი. —რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა გავათავისუფლებინოთ — ვფიქრობდი ჩემთვის. რას არ ვპირდები პროკურორს, მომავალ, დისიდენტურ საქართველოში!

მითხრა,-კოორდინატები დატოვე, შეიძლება ყოველ წუთს დაგვჭირდეთო.

საღამოს 9 საათზე ისევ რესპუბლიკის პროკურორის კაბინეტში ვარ. აქვე მობრძანდა ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანი, რომელსაც თავისი ფრონტი უკვე გახსნილი ჰქონდა ამ საქმესთან დაკავშირებით. 10 საათზე კი ორთაჭალის ცნობილ ციხეში ვართ. ბატონმა ჯანსუღმა „სინანულით" თქვა, ჩემდა სამარცხვინოდ ციხეში პირველად ვარო.

-არა უშავს რა, ბატონო ჯანსუღ, იმედია მომავალში გამოვასწორებთ— დავამშვიდე მე.

მართლაც, შანსები ორივეს ერთობ დიდი გაგვიჩნდა. ციხის უფროსის კაბინეტში, მცირე ინტერვალით, ცალ-ცალკე შემოიყვანეს მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ირაკლი წერეთელი და გიორგი ჭანტურია. მათ ერთმანეთის ამბავიც არ იცოდნენ. გიას ცოლის შერთვა მოულოცეს.(ციხეში მოეწერა ხელი ირინა სარიშვილთან)-სიძე, შე ძველო,— ასე გადაკოცნეს გია. აქ იყვნენ ვახტანგ რაზმაძე, შოთა გორგოძე, რომან გვენცაძე და შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე მუშაკი. საუბარი პროკურორმა დაიწყო:

— ბატონი ჯანსუღი და ბატონი ვახტანგი მთელი დღე დარბოდნენ თქვენს საქმეზე. მათ თავიანთ თავზე აიღეს პასუხისმგებლობა, რომ თქვენ პირობით გაგათავისუფლოთ.

ბიჭებს გულთბილად ესაუბრა ბატონი ჯანსუღი.

მახსოვს ჩემი სიტყვა:

-ჩემი დამსახურება დიდი არაფერია. ამასწინათ ვიყავი აფხაზეთში, აჭარაში, ქუთაისში... თბილისის განწყობილებაც ვიცი. თქვენი გათავისუფლება უნდა ქართველ ხალხს. ასე რომ, თქვენ პირადად ჩემი დასამადლებელი არაფერი გჭირთ.

მოსკოვი რაში არ ერეოდა, რომ ამ საქმეში არ ჩარეულიყო. როგორც გავიგე, იმ "ავადსახსენებელი" კრემლის ქართველის ხელი ერია მათ გათავისუფლებაში. მოდას გადავუხვიე. აგენტმა თავისი შეფი უნდა ლანძღოს. მე „კრემლის აგენტმა", უფრო რთულ ილეთს მივმართე. ე.შევარდნაძის კისერზეა ის ცოდვა თუ ბედნიერება, საქართველოში კომპარტიამ რომ ოსტატურად შეაჩეჩა ხელში ძალაუფლება კომპარტიის ენერგიულ მლანძღველ ოპოზიციას.

ღამის პირველი საათი იყო, ციხის ეზოში რომ გამოვედით. აქ დაგვხვდნენ ზ.გამსახურდიას მეუღლე, მისი მეგობარ-ნათესავი ქალბატონები. ადრე 206 მუხლით ნასამართლევ ლუიზა შაკიაშვილს ისე გაეხარდა „ბიჭების" გათავისუფლება, რომ შოთა გორგოძე კინაღამ ხელში აიყვანა(საკუთარი ძალ-ღონის იმედით). ლიდერები მანქანაში ჩასხდნენ. უნდა შეკრებილიყვნენ კოლხურ კოშკში. მერაბი ჩემს მანქანაში მძღოლის გვერდით დავსვი. წვერმოშვებული და ღრმად დამწუხრებული სულ ერთსა და იგივეს ბუტბუტებდა- ნეტავი მე ვიწვე იმათ მაგივრად მიწაშიო. ... ბმა, პეტრიაშვილისა და ლარსის ქუჩის გადაკვეთაზე ტელეფონ-ავტომატი დაინახა, მანქანა გავაჩერეთ. თამრიკოს (ჩხეიძეს) დავურეკავო. იყო ღამის ორის ნახევარი. ვერ დაურეკა. მე ის კოშკში დავტოვე და გამოვბრუნდი. მეორე დღეს, ორმოცის მწუხარე დღე სალმრთო სიმშვიდით და სილამაზით ჩატარდა.

206 მუხლის ქვეშ მყოფი ოთხი ლიდერი შეუდგნენ ეროვნულ მოძრაობაში თავიანთ საქმეს. „პოლიტიკა ჭუჭყიანი საქმეა" —უთქვამს სტალინს შალვა ნუცუბიძისათვის. იმ 18 მაისის აქეთ, წელიწადნახევრის შემდეგ, 206 მუხლის ერთი მფლობელი რესპუბლიკის პრეზიდენტია, მეორე კი, მის მიერვე 206 მუხლით მსჯავრდებული თანამოძმე და თანამებრძოლი გია ჭანტურია. „პოლიტიკა ჭუჭყიანი საქმეაო!" დღეს საქართველოს სოციალ-პოლიტიკური სინამდვილე პარადოქსების დემონსტრირებაა. სიცრუის ასეთი ტრიუმფი არც ერთ რევოლუციას არ ახსოვს. „სულელი ეშმაკი"-უწოდა შილერმა ეშმაკს... საქართველოში ბევრი მწუხარე შენობაა. მაგრამ მთავრობის სახლის წინ ნაშენი კარვები, „რა ხელმა აზიდა, რა ხელმა აშენა?" მსგავსი კომიკური დაწესებულება ჯერ არ მინახავს. ერთი სარგებლობა კი იქნება — ქართული კინო და თეატრი მდიდარ ნედლეულს მიიღებს მომავალში კარავაბადის სახით.

ისტორია არაფერს ივიწყებს, მალე დაერქმევა მოვლენებს თავისი სახელი — ვინ აგენტია,ვინ არა. ჯერ-ჯერობით არაფერი შეცვლილა, 206 მუხლი კვლავ იმპერიის სამსახურშია მუხლჩაუხრელად.

ვახტანგ გოგუაძე
პროფესორი

**13 დეკემბერი, 1991 წელი.**

ჯერ კიდევ ჰიტლერი ამბობდა, რაც უფრო დიდ ტყუილს იტყვი, მით უფრო ადვილად დაგიჯერებს ხალხიო.

ეს პარადოქსი ადვილად აიხსნება: ამისთანა რამეს როგორ მოიგონებდნენო, ფიქრობს ადამიანი და ექცევა კიდეც „ცოცხალი ტყუილისა" და მისი ავტორის გავლენის ქვეშ, მით უფრო, დიდ ტყუილში სიმართლის მცირე ელემენტი მაინც თუა გარეული.

ამგვარი ტყუილით „გამოიჩინა" თავი 14 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტთან ინტელიგენციის ერთი ჯგუფის შეხვედრისას ჩვენთვის ცნობილმა ვარლამ ნიკოლაძემ ( ამ შეხვედრის ვიდეოჩანაწერი მეორე დღეს გადასცა საქართველოს ტელევიზიამ ).

თავისი გამოსვლისას, ბ-ნმა ნიკოლაძემ, ხაზგასმით მიუთითა რა ხელისუფლებისა და საკუთარ ჰუმანიზმზე (დასახვრეტთა სიები რომ მომიტანონ, ხელს არ მოვაწერო!), ეს „მითითება" შემდეგი ფაქტით გაამაგრა: სუპერდემოკრატიულ ამერიკაში რამდენიმე წლის წინ დასანგრევად გამზადებულ ერთ სახლში უბინაო ზანგები შევიდნენ. ვერაფრით ვერ გამოდევნა შეჭრილები სახლის მეპატრონე ფირმამ. პოლიციელებიც მიუსია. ამათაც ვერაფერი მოუხერხეს უსახლკაროებს- კიბემდე ჩაყოლიებინათ ისინი, მარცხით დამთავრდა. საკუთარ რიგებში მსხვერპლის შიშით პირდაპირ იერიშსაც მოერიდნენ. ბოლოს, ქალაქის მერის თვითნებური გადაწყვეტილებით სახლი ჰაერიდან დაბომბეს. შედეგად „შავავაზელები" დაიღუპნენ, დაინგრა მეზობელი სახლებიც.

ამ, მართლაც შემზარავმა ფაქტმა დიდი სკანდალი გამოიწვია ამერიკაში. იგი მკაცრად, სამართლიანად დაიგმო ყველა დონეზე, დაპატიმრებულ იქნენ მერი და პოლიციის უფროსი.

როგორც ვხედავთ, სინამდვილესა და ვ.ნიკოლაძის „ვერსიას" შორის დიდი განსხვავებაა. და ესოდენ განსხვავებულად სავსებით შეგნებულად გადმოსცა იგი „მთხრობელმა". დიახ, არარსებული ფირმა რომ არ „ემხილებინა", „შავავაზელები" უსახლკაროებად რომ არ გამოეყვანა, მაშინ ხომ მთელი ის ქვეტექსტი დაიკარგებოდა, ასე აშკარად რომ ჩანს მის „ვერსიაში": ხომ ხედავთ, სუპერდემოკრატიულ ამერიკაში ბინის დაკავებისთვის უსახლკაროებს ყუმბარები დაუშინეს და კაციშვილს ხმა არ ამოუღია, ჩვენთან კი უბრალოდ დაჭერების გამოც კი რამხელა ამბავია ატეხილი!

ბევრ მაყურებელს ალბათ გაუჩნდა კიდევ ამგვარი აზრი, რასაც, ვიმეორებ, ისა-

## არ დაიჯეროთ!

მოათრიეს, მაგრამ ისე მაგრად მოეჭიდნენ მოაჯირს, ძვრა ვერ უყვეს. ბოლოს, ადგნენ, მეზობელი სახლებიდან ხალხი გაიყვანეს და ზემოდან იმ სახლს ყუმბარა ესროლეს. ზანგები დაიხოცნენ, სახლიც დაინგრა, მის ადგილას კი ფირმამ ახალი შენობა ააშენაო. — დაამთავრა ამბის მოყოლა ბ-ნმა ნიკოლაძემ და მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა: რა თქმა უნდა, მე იმათზე ყუმბარის ჩამოგდებას არ მოვითხოვ, მაგრამ...

ბ-ნ ნიკოლაძის ამ მონაყოლში ერთი მართალი ელემენტია: ყუმბარა ნამდვილად ჩამოაგდეს სახლზე. ai, ამ ჩამოგდებამდე და მის შემდეგ კი,-რაც ასე მეტყველად და მრავალმნიშვნელოვნად მიაწოდა მთხრობელმა ინტელიგენტურ აუდიტორიას (ტელევიზიამ კი მრავალათასიან ტელემაყურებელს ), —ყველაფერი ვ.ნიკოლაძის გამოგონილ-შეთხზულია(თუ რა მიზნით,ამის შესახებ ქვემოთ).

სინამდვილეში საქმე ასე იყო:

ქ. ფილადელფიის ერთ სახლში გამაგრდა ტერორისტული ორგანიზაცია „შავი ავაზას" რამდენიმე შეიარაღებული წევრი. პოლიციის ყველა ცდა, დანებებაზე დაეხავდა მიზნად ბ-ნი ნიკოლაძე — ამერიკაში თუ ასეთი ამბები ხდება და კაცი არაა გამკითხავი, ჩვენთან მართლაც რა პოლიტპატიმრები აუტყდათო!..

და აქ ლოგიკურად ასეთი აზრიც გაჩნდებოდა: დემოკრატიულ ამერიკაში უსახლკაროებს ცარიელ ბინაში შეჭრისთვის თუ ყუმბარით ხოცავენ, აბა, მაშინ ჩვენში მოძრაობის გაჩერებისა და ტელევიზიის პიკეტირებისათვის, თურმე მართლა სწორად დაუჭერიათ ჭანტურია და ხაინდრავაო!

არ დაიჯეროთ! ამერიკაში ცარიელი ბინის დაკავებისათვის უსახლკაროებს არ ხოცავენ!

და არც მოძრაობის გაჩერებისა და შენობების პიკეტირებისათვის სვამენ საპყრობილეში ხალხს!

არადა, ოფიცრობში დაჟინებით ცდილობს დაამკვიდროს ჩვენში აზრი, თითქოს "იქ" სწორედაც რომ ციხეში ჰყრიან მოძრაობის გამჩერებლებსა და მოპიკეტეებს.

არა,ბატონებო, აჯარიმებენ!

ა-ჯა-რი-მე-ბენ!

ფელიქს კოჟიაშვილი

## გაგვაგებინეთ, რა ხდება?!

რამდენიმე დღეა, მთავრობის სახლთან გადაკეტილია რუსთაველის პროსპექტი.

უცნაური(რბილად ვამბობთ) სანახაობაა: ავტობუსებით-ტრანსპორტის უკმარისობის დროს — წრე შეუკრავთ, შიგნით კი უზარმაზარი, სამშენებლო ბლოკებით დატვირთული თვითმცლელი მანქანები ჩაუყენებიათ. ერთი სიტყვით, მართლაც დიდებული ბარიკადია აღმართული.

ამ წინაღობით შეწუხებული ხალხი იძულებულია „წრე დაარტყას" და ისე მიაღწიოს მეტრომდე, ანდა მთელ პროსპექტზე ფეხით „ისეირნოს"...

მართლაც რომ, „რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს": ხელისუფლება, ეს უკვე მერამდენედ, თავად აკეთებს იმას-აგებს ბარიკადს, ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის კეტავს ქუჩას— რისთვისაც სხვებს საპყრობილეში სვამს!

თუ ეს, როგორც ამბობენ, ოპოზიციონერთა შიშით კეთდება, სასაცილოა; ხოლო თუ რუსის ჯარისაგან თავდასაცავად, თქვით, ბატონო, და ჩვენც, „მოღალატე" ოპოზიციონერებიც თქვენთან ერთად დავდგებით!

საქართველო

# ისტორიას დასჭირდება

ნოდარ ნათაძე

ყურადღების ღირსად არ ვთვლი იმ უწმაწურსა და ნახევრადუწმაწურ პასკვილებს, რომლითაც გაზეთების „მრგვალი" უმრავლესობა მიმასპინძლდება. არ დავმდაბლდები რეაგირებამდე, როცა წერა-კითხვის მცირედ მცოდნე პირი რელიგიის საკითხზე მმოძღვრავს, როცა ჩემთვის ულირსებო კაცად ნაცნობი პიროვნება რადიოთი ფილოლოგიურ შრომებს მილანძღავს ან როცა კომიკური ფსევდოპოლიტიკოსი პოლიტოლოგია ში ორიანებს მიწერს. მაგრამ როცა ჩემთვის წესიერ კაცად ცნობილი პიროვნება ცილს მწამებს, რათა უწესოებს აამოს, მწყინს. მხედველობაში მაქვს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტის ვანო თვალაძის წერილი „არჩევნებამდე" („საქართველოს რესპუბლიკა", №245, 1991), რომელშიც ყოვლად აბსტრაქტული, მაგრამ მისამართიანი ლანძღვა-გინების ფონზე ჩემი გვარიცაა ნახსენები ისეთ კონტექსტებში, რომლებშიც წერილის ტონადობის მიხედვით, მოქმედ პირთა მოქმედება რაღაცა საჩოთიროს უნდა შეიცავდეს. კერძოდ, რატომღაც ვფიგურირებ იმათ შორის, ვინც მომხრე არ იყო ყველა ეროვნული ძალების ერთობლივი გამოსვლისა 28 ოქტომბრის არჩევნებზე, და ნათქვამია, რომ სადღაც, ოდესღაც, დათქმულ დროზე შეგნებულად არ გამოვცხადებულვარ, რაც, მართალი რომ ვთქვა, ავტორის ზედმეტად ეჭვიანი ფანტაზიის ნაყოფი მგონია. განვმარტავ: მე მოველოდი (და ეს გამოქვეყნდა კიდეც), რომ 25 მარტის არჩევნებზე ეროვნული ძალები ხმათა 80 პროცენტს მიიღებდნენ. ამასვე მოველოდი 28 ოქტომბრისთვის. მომხრე ვიყავი ან ყველა პარტიული ძალის ერთობლივი გამოსვლისა (რაც არ შედგა), ან მათი გაყოფისა სამ ბლოკად მაინც (რადგან ორ ბლოკს შორის დაპირისპირება მოხდებოდა).

ახლა რაც შეეხება არჩევნების რეალურ ისტორიას. 1990 წლის 9 მარტს საქართველოს სახალხო ფრონტმა უდიდესი საპარლამენტო გამარჯვება მოიპოვა: მისი წევრი დეპუტატების შრომით, უზენაესმა საბჭომ დაადგინა, რომ საქართველოს ყოფნა სსრკ შემადგენლობაში იყო ფაქტობრივი ანექსიის შედეგი. იმ დღიდანვე დაიწყო სახალხო ფრონტის გაავებული და ჩემთვის ყოვლად გაუგებარი ლანძღვა-გინება იმ პირთა მხრიდან, რომლებიც თავისთავს გულუბრყვილოდ უწოდებდნენ „შეურიგებ ოპოზიციას" (ლიდერები: ზ. გამსახურდია, ჭანტურია, წერეთელი და სხვანი). მათვე დაიწყეს აქტიური ბოიკოტი 25 მარტისთვის დანიშნული არჩევნებისა, თუმცა ყველამ ვიცოდით (თუნდაც ბალტიისპირელთა მაგალითზე); რა დიდი ძალა იყო პარლამენტი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ამ ბოიკოტით კომუნისტებს ვერაფერს დააკლებდნენ, დაგვაკლებდნენ მხოლოდ ჩვენ, სახალხო ფრონტს, ვინაიდან ჩვენ და ამ პარტიებს ჩვენი ხმის მსმენელი — ასე ვთქვათ, „მრევლი"— ერთი და იგივე გვყავდა. რა ვიღონეთ ჩვენ, სახალხო ფრონტმა, რათა არჩევნებში წაგებას გადავრჩენოდით, ქვემოთ ვიტყვი. ახლა კი მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ 25 მარტის არჩევნების ბოიკოტის იდეა მაშინაც სუკის „შემოცურებულად" ჩავთვალე და ახლაც ასეთად ვთვლი.

ჩვენ, სახალხო ფრონტმა მოვახსნევინეთ ხელისუფლებას 25 მარტის არჩევნები და დავანიშნინეთ ახალი არჩევნები, მრავალპარტიული სისტემით. ვიცი, რომ დღეს ბევრნი მიიწერენ ამ დამსახურებას. შესაძლოა, ბევრი იმასაც ფიქრობს, რომ ეს ცვლილება ხელისუფლების გეგმებში შედიოდა. ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით, რომ ეს ასე არ იყო. დანიშნული არჩევნების ნაცვლად ახალი, მრავალპარტიული არჩევნების დანიშვნის იდეა მეკუთვნის მხოლოდ მე, ხოლო მისი განხორციელება-სახალხო ფრონტის წევრ დეპუტატთა ჯგუფს ჩემი მონაწილეობით. საბაბი ასეთი იყო: „სსრკ კონსტიტუციებში გაუქმდა ფორმულირება, რომ კომპარტია საზოგადოების წარმმართველი ძალაა, მაშასადამე, ჩვენც შეგვიძლია ისე გავაუქმოთ ანალოგიური მუხლი ჩვენს კონსტიტუციაში, რომ სსრკ მხრიდან რეპრესიისა არ შეგვეშინდეს. ამიერიდან არამრავალპარტიული არჩევნების ჩატარება უკვე დაუშვებელია. დავაკანონოთ პარტიები და შემდეგ ჩავატაროთ არჩევნები". ჩვენი ასეთი განცხადება ხელისუფლების მიმართ დაიბეჭდა გაზ. „საქართველოში", სადღაც 14 მარტსა და 25 მარტს შორის. ჩვენი ჭიდილი ხელისუფლებასთან ამ თემაზე რამდენსამე დღეს გაგრძელდა და ბოლოს ჩვენი მოთხოვნა შესრულდა. მართალი რომ ვთქვა, გამიკვირდა, რომ ეს მოხდა. შესაძლოა (და, მე ვფიქრობ, ასეც იქნებოდა), ხელისუფლებამ თავისთვის გათვალა რაღაცა და ჩვენი მოთხოვნა თავისთვის სასარგებლოდ ცნო. მაგრამ, ვიმეორებ, ინიციატივა მისი არ იყო და ჩანაფიქრიც, ამგვარად, მისი ვერ იქნებოდა. იგი მხოლოდ ჩემი იყო. შესაბამისად, ვერც 25 მარტის არჩევნების მებოიკოტეებს ეცოდინებოდათ, რომ ეს არჩევნები გადავადდებოდა და ახლო მომავალში სხვა, ამჯერად მრავალპარტიული არჩევნები შედგებოდა. მათი ბოიკოტის ერთადერთი შედეგი, რომელიც კი მათ შეიძლებოდა გათვალისწინებული ჰქონოდათ, ის იყო, რომ ჩვენ, სახალხო ფრონტი წავაგებდით (ჩვენი მრევლის არმოსვლის გამო), და კომუნისტები მოიგებდნენ (რადგან მათი მრევლისთვის ბოიკოტის მოწოდება ისეთივე არაფრისმთქმელი იქნებოდა, როგორც ეროვნულ ძალთაგან წამოსული ნებისმიერი სხვა მოწოდება).

გადაწყვეტილება არჩევნების მრავალპარტიული წესით ჩატარების შესახებ ისეთივე ოფიციალური და, მაშასადამე, შეუცვლელი იყო, როგორც არსებული გადაწყვეტილება არჩევნების ჩატარების შესახებ საერთოდ. მას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. მოლაპარაკება ერთის მხრივ ეროვნულ ძალებს (სახალხო ფრონტი, დასი) და მეორეს მხრივ ხელისუფლებას შორის ამის შემდეგ წარმოადგენდა მხოლოდ საარჩევნო კანონის შესახებ. (სხვათა შორის, მაშინ უზენაეს საბჭოში 440 წევრი იყო, ახლისთვის 300-ზე შევთანხმდით). შემდეგ, როცა ცნობილი გახდა, რომ ზ. გამსახურდიას გუნდიც აპირებს არჩევნებში მონაწილეობას და რამდენიმე სხვა პარტიაც ჩაება საარჩევნო საქმეში, მოლაპარაკეთა მონაწილეების რიცხვი, შესაბამისად, გაიზარდა. მე, რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა ზ. გამსახურდიასა და მისი გუნდის გადმოსვლა საპარლამენტო ბრძოლის მომხრეთა პოზიციაზე, რადგან ახალი ბოიკოტი მათი მხრიდან ისევ გამოუსწორებელ ზარალს მიაყენებდა ეროვნული ძალების საერთო საქმეს. აქვე შევნიშნავ, მათი მოტივაცია „ის, 25 მარტის არჩევნები საბჭოური იყო. ეს კი არაო". ჩემთვის მაშინაც სასაცილო იყო და ახლაც სასაცილოა, ორივე „საბჭოური" იყო და ორივე — საბჭოური ბატონობისათვის მომაკვდინებელი (თუკი ვივარგებდით), რაკი ორსავე შემთხვევაში შეგვეძლო, ჩვენ მიერ შერჩეული კანდიდატების გასვლისათვის გვებრძოლა. სხვათაშორის, იმ პირველი „საბჭოური" წესით არჩეულმა პარლამენტებმა უკვე გამოიყვანეს ბალტიისპირეთის ქვეყნები საბჭოთა კავშირიდან და უკვე მოიპოვეს თავისი ქვეყნებისთვის აღიარება მსოფლიოს მიერ.

არჩევნების თითქმის ბოლო დღემდე ვშიშობდი, ვაი თუ ზ. გამსახურდიამ და მისმა გუნდმა კვლავ ზურგი აქციონ არჩევნებს და ბოიკოტის გზას დაადგნენ-მეთქი არჩევნების ვადებზე პაექრობის მსვლელობა ყველას გვახსოვს). საბედნიეროდ, ეს არ მოხდა. ეროვნულმა ძალებმა თითქმის ის პროცენტი მოვიპოვეთ არჩევნებზე, რომელიც ადრევე (25 მარტამდე) ნავარაუდევი მქონდა. ჩემთვის სრულებით მოულოდნელი მხოლოდ ერთი რამ აღმოჩნდა: ის, რომ ზ. გამსახურდიას გუნდმა 60 პროცენტზე მეტი მიიღო და ამით, პრაქტიკულად ერთპარტიული ხელისუფლება შეიქმნა. როგორც საზოგადოებამ იცის, მე ეს ხელისუფლება არ მომწონს ქვეყნის სამსახურისათვის უნარიანობის თვალსაზრისით), თუმცა, რაღა თქმა უნდა, აზრად არ მომივა იგი ძველ, უცხოელთა მიერ დანიშნულ ხელისუფლებას შევადარო ზოგადად (დღევანდელი ხელისუფლება, ასეა თუ ისე, საკუთარია და იგი, ფორმალურად მაინც, ანგარიშვალდებულია საქართველოს წინაშე და არა სხვის წინაშე). ხშირად მესმის კითხვა: „ღირდა კი საარჩევნო ბრძოლა, თუ შედეგად ასეთი ყოველმხრივ სუსტი და არადემოკრატიული ხელისუფლება გვეყოლებოდა? განა რაც გასაკეთებელია, იმას კომუნისტებს ვერ გავაკეთებინებდით გარედან „მიწოლით"?" ჩემი კატეგორიული პასუხია: დიახ, ღირდა! ღირდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქვეყნის ინტერესებისადმი აბსოლუტურად გულგრილ პარლამენტს, გარედან ყველაფერს ვერ გააკეთებინებ. მეორეც, იმიტომ, რომ საკუთარი ხელისუფლების უყოლობისას ხალხი ვერასოდეს ისწავლის კარგი და უვარგისი, უნარიანი და უუნარო, ბრძენი და წინდაუხედავი ხელისუფლების გარჩევას და არასოდეს გაიზრდება ბრძენი, ერთგული და მტკიცე ხელისუფლების ყოლის მოთხოვნილება. ის მტკივნეული პროცესები, რაც ახლა მიდის, და ის სამარცხვინო კერპთაყვანისმცემლობა, რომლის მოწმენიც ჯერ კიდევ ვართ, მოსახდელი იყო, რომლის სოციალისტური კოლონიალიზმის მდგომარეობიდან ადამიანობის მდგომარეობისაკენ მიმავალი საზოგადოება გვერდს ვერ აუვლის. კარგია, რომ ჩვენი ცნობიერებიდან უსათუოდ გამოსარწყავი ჩირქის გამორწყვის ეს პროცესი ადრე დაიწყო. ჩვენ რომ დღესაც საშუალება გვქონოდა, ჩვენი ყველა უბედურება მხოლოდ მტრისათვის დაგვებრალებინა, ჩვენი პოლიტიკური გამოფხიზლება უფრო გვიანისთვის გადაიდებოდა.

დღევანდელ პარლამენტს (რამელზედაც, ვიმეორებ, მაღალი აზრისა არ გახლავართ) დღეს ყველა სხვა ამოცანაზე წინ ერთადერთი და საშვილიშვილო ამოცანა უდგას: არ დაეთანხმოს საქართველოს შეყვანას ახალ, მოდერნიზებულ იმპერიაში — არც პოლიტიკური, არც ეკონომიკური, არც სამხედრო და არც სხვა რამ, ერთობის სახით, რისკენაც მას დღეს მრავალი მუქარა უბიძგებს და მრავალი შემპარავი ტკბილი სიტყვა ეწვე-

---

# „ზოგჯერ თქმა სჯობს..."

## (მიმართვა პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ საზოგადოებას)

ბატონებო და ქალბატონებო! თანამოქალაქენო!

თავს ვალდებულად ვთვლი, ამ მძიმე ჟამს, ჩემი მოსაზრება მოგახსენოთ იმის თაობაზე, რაც დღეს საქართველოში ხდება. შესაძლოა, რომ იგი გაუზიარებელი დარჩეს ბევრისათვის პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური წრეებიდან. მიუხედავად ამისა, ალბათ დამეთანხმებით, რომ მორიდებისა და უთქმელობის დრო აღარ არის.

საქართველოს მთელი მოსახლეობა თუ არა, მისი გარკვეული, ვფიქრობ უმეტესი, ნაწილი ხედავს, თუ რა მდგომარეობამდე მიიყვანა ამჟამინდელი ხელისუფლების მოღვაწეობამ ჩვენი ქვეყანა. საშინაო და საგარეო პოლიტიკური ჩიხი, ეკონომიკური სიდუხჭირე, სოციალური უიმედობა, სულიერ-ზნეობრივი გაღატაკება- აი, რა მოუტანა ქართველ ხალხს პოლიტიკური ბლოკის, „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს", ერთწლიანმა ზეობამ. ამ დროის განმავლობაში კიდევ უფრო გაღრმავდა კრიზისი სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროში და ამით ამჟამინდელმა ხელისუფლებამ ულირსი მემკვიდრეობითობა გამოავლინა კომუნისტური რეჟიმის მიმართ. მკაცრად ცენტრალისტური პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურების შენარჩუნებისათვის საქართველოს მმართველობის თავგამოდებული ბრძოლა ხელისუფლებაში ყოფილი პარტიულ-კომუნისტური ელიტის წარმომადგენელთა დაბრუნებით დასრულდა.

საქართველო კატასტროფის პირას დგას.

თქმა არ უნდა, რომ შექმნილი ვითარებისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება საქართველოს ხელისუფლებასა და რესპუბლიკის პრეზიდენტს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ ძალთა მოქმედების არაადექვატურობა. დღეს, ისე როგორც არასდროს, მართებს ამ ძალებს აწონილ- დაწონილი ნაბიჯების გადადგმა, რაც ვერ, თუ არ, ხორციელდება.

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ იმის გადაწყვეტას, თუ რა მიმართულებით უნდა იმოქმედოს გაერთიანებულმა ოპოზიციამ და როგორ განახორციელოს არსებული გეგმა, ცდილობენ ძალები, რომელთაც გარკვეული ხნის წინ ყველაფერი იღონეს „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" გამარჯვებისა და საქართველოს პრეზიდენტის აგრერიგად აღზევებისათვის. ამგვარი სურათი იქმნება-- საქართველო გადაქცეულია მრგვალმაგიდური კონფლიქტის არენად, გამარჯვებული ბლოკის უმრავლესობა ებრძვის თავისსავე, ამჟამად ბლოკიდან გაძევებულ, უმცირესობას და იქმნება შთაბეჭდილება, რომ სხვა პოლიტიკური პარტიები თუ ორგანიზაციები კანტიკუნტად იღებენ ამ დაპირისპირებაში მონაწილეობას. ნათელია, რომ ყველა პარტია თუ ორგანიზაცია, ხელისუფლებაში მოსული თუ ოპოზიციაში მყოფი, გარკვეულად მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესში და ამით აღასრულებს ვალს, რაც თითოეულ მათგანს აკისრია. საუბარი ეხება მხოლოდ იმას, რომ შეუძლებელია მედროშე-ზელადის პრეტენზია გააჩნდეს რომელიმე პარტიას, რაც არ უნდა პოლიტიკური განათლებით სავსეს; უზენაესი საბჭოს რომელიმე ფრაქციას, ან ფრაქციებს ერთად, რაც არ უნდა სახელის, პოპულარობის, ჭკუაგონების და ფიზიკური ძალის მქონეს; მაქსიმალისტურად განწყობილ პარტიებს, რაც არ უნდა შეურიგებელ პოზიციაზე მდგომს; სხვა ძალებს. ამასთან, ერთის მხრივ, რადიკალებად წოდებულ ძალთა უკიდურესი მაქსიმალიზმი ხშირად ავანტიურიზმში გადაზრდის საშიშროებას ქმნის და მეორეს მხრივ, ზომიერებად წოდებულ პარტიათა, ფრაქციათა და ორგანიზაციათა მიერ სხვადასხვა არამდგრადი ალიანსებისა და მოძრაობების შეკოწიწება კიდევ უფრო აბუნდოვნებს, ისედაც გაურკვეველ, პოლიტიკურ სურათს.

თუ ორიოდ სიტყვით მოვიგონებთ განვლილ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებს, უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური ბლოკი, „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო", უკიდურესი მაქსიმალისტური მეთოდებით მოვიდა ხელისუფლების სათავეში. ამ ბლოკის წამყვანი პარტიების მიერ არის დანერგილი მოქმედების უაღრესად კონფრონტაციული და დესტაბილური სტილი საქართველოში. არჩევნებში გამარჯვების შემდეგაც იგივე ხასიათი შეინარჩუნა უკვე გახელისუფლებულმა „მრგვალმა მაგიდამ— თავისუფალმა საქართველომ". მაგრამ ერთია ხელისუფლების მოქმედება, მეორე — ოპოზიციური ძალების საპასუხო რეაქცია. დღეს ჭარბობს უკიდურესი მაქსიმალიზმი. უფრო ზუსტად, სხვადასხვა ოპოზიციური ძალების მოქმედება ერთ ყალიბში, მაქსიმალისტურში, თავსდება.

უკიდურეს მაქსიმალიზმს ვუწოდებ უწყვეტი დესტაბილიზაციის მცდელობას. იგი ხელს უშლის ოპოზიციურ ძალებს, რადგან დესტაბილური ვითარება მმართველებისათვის უფრო მისაღებია, ამგვარ ვითარებაში ხელისუფლება შესანიშნავად გრძნობს თავს. საპროტესტო გამოსვლებს, მიტინგებსა თუ მანიფესტაციებს მაშინ აქვს შედეგი, როცა ოპოზიციებს გადამწყვეტი რაოდენობის მხარდამჭერი ჰყავს. მხარდამჭერთა მოპოვებას პოლიტიკური დაუღალაობა და მოთმინება ესაჭიროება.

საქართველოს მოსახლეობისათვის ერთი რამ უნდა გახდეს ნათელი — ვიდრე პოლიტიკური ბლოკი „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო" ხელისუფლების სათავეშია ერნება, ჩვენს ქვეყანას ხსნა არ უწერია. დღეს მოვლენები ისე განვითარდა, რომ არ არის გამორიცხული საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ. მაგრამ ეს იქნება არა ჩვენი ხელისუფლების გონივრული პოლიტიკის შედეგი, არამედ საბჭოთა კავშირის საბოლოო დაშლის ლოგიკური შედეგი.

განმარტებად „დედა ენის" ნასწავლ ამბავს მოგაგონებთ — ეტლი შარაზე მიჰქროდა და ბუზი აჰყვებოდა. ბუზი კოფოს მიმჯდარიყო და თავს იწონებდა: დახეთ, რა კორიანტელს ვაყენებო.

საქართველომ თავისუფლებისა და „საქმით მეტყველი სულის" გზით უნდა იაროს.

საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე
ირაკლი შენგელაია

15.12.1991 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰეი, თქვენ, ყაჩაღებო!..

ეს ჩვენი ახალშექმნილი ფირმები, ეს კოოპერატივები და თვით სახელმწიფო დაწესებულებები ისე რეკლამას არ მიაწოდებენ მკითხველს, ბოლოს რიგით მოკვდავთათვის პირდაპირ გულზვიადახეთქი მოწოდებაც რომ არ მიაყოლონ.

შესასყიდ-შესაძენი ფასის დასახელების შემდეგ, როცა კაცს თმა ყალყზე დაუდგება, დასამშვიდებლად მოგვიწოდებენ: იჩქარეთ, ნუ დაინანებთ მაკულატურადქცეულ საბჭოთა მანეთებსო.

ამ მაკულატურადქცეულ საბჭოთა მანეთებს ისეთი ნიშნისმოგებით ახსენებენ, თითქოს ჩვენს მოქალაქეებს არამაკულატურული, არასაბჭოთა მანეთებითაც, ვთქვათ, დოლარებითაც ჰქონდეთ გამოტენილი ჯიბე და ისღა ჰქონდეთ საფიქრლად დარჩენილი, თუ რა მოუხერხონ, სად გადაყარონ წარსულის მავნე გადმონაშთი- საბჭოთა ფული.

იმას არავინ დაგიდევთ, მაკულატურადქცეული საბჭოთა მანეთის შოვნა დღესაც ისევე ძნელი რომ არის, როგორც იმ დროში იყო, როცა მანეთი მანეთობდა.

იმას არავინ დაგიდევთ, ხელფასები რომ უკეთეს შემთხვევაში ორჯერ გაიზარდა, ფასები კი ათჯერ, ხოლო შავ ბაზარზე, თქვენ წარმოიდგინეთ ერთი ერგასითაც.

იმას არავინ დაგიდევთ, სახელმწიფო რომ მთლიანად შავ ბაზრად იქცა, რადგან „თეთრ ბაზარზე", სახელმწიფო დახლებზე, ფაქტობრივად არაფერი ძევს.

მოკლედ, საერთო ანარქიით სარგებლობს ძველი და ახალი მაფია და კატასტროფულად მდიდრდება. საზოგადოების უდიდესი ნაწილი კი სოციალურად სრულიად დაუცველია. ამაზე კი, სიტყვით გაგიხარიან, მაგრამ საქმით არ ჩანს, რომ ვინმე ფიქრობდეს...

თუმცა ცოტა გადავაჭარბე...

სახელმწიფოს ამ საკითხზე უფიქრია და გადაწყვეტილებაც შესანიშნავი მიუღია.

მაგალითად, უზენაესი საბჭოს სასადილოში ერთობ მტკიცე და ხელმისაწვდომ ფასებში ასადილებენ ხალხს, ოღონდ ეგ არის, ხალხში აქ მთელი ხალხი კი არა, ამ ხალხზე ზრუნვით ნაშიმშილევი... წარსულში მრავალჭირგადანახადი... აწ კი ეროვნული ხელისუფლების აპარატის მუშაკები იგულისხმებიან.

იმედია, როცა ისინი სულს მოითქვამენ, იმ ადამიანების ბედზეც იფიქრებენ, რომელნიც უზენაეს საბჭოში კი არა, ვთქვათ პლატონას დუქანთან ან ფარცხანაყანების ყანაში მუშაობენ...

მანამდე კი უნდა მოვითმინოთ, მით უფრო, რომ ძველი და ახალი მაფიის ალიანსი და გაერთიანებული ძალებით ხვეჭა, უთუოდ, კრემლის პროვოკაციის ბრალი იქნება...

ნოდარ თორელი

ვინც ჩვენი დუხჭირი ცხოვრების მიუხედავად ტელევიზორის ცქერას მაინც ახერხებს, უთუოდ შეამჩნევდა: ბოლო ხანს, ტელეეკრანიდან ფეხი ამოუკვეთეს ქართულ მხატვრულ ფილმებს. სამაგიეროდ, ევროპული-ამერიკული, ინდური თუ რუსული ფილმებით გვინანავებენ.

მკითხველს ვთხოვ, ნათქვამი ისე არ ჩამომართვას, თითქოს ზემოხსენებული რომელიმე ქვეყნის კინოფილმების მოწინააღმდეგე ვიყო. ძალიან კარგად მესმის, რომ ხელოვნების ნაწარმოების ღირსება-ნაკლოვანებას მისი მხატვრული დონე განსაზღვრავს, და არა წარმომავლობა. აქედან გამომდინარე, მომხრე ვარ, მაღალმხატვრულ უცხოურ ფილმებსაც გვიჩვენებდნენ ტელევიზიით და, უწინარეს ყოვლისა კი — მშობლიურ ქართულს. ერთადერთი რისი წინააღმდეგიც ვარ, ისაა, რომ ჩვენი ტელევიზია აღარც მაღალი და აღარც დაბალი დონის ქართულ ფილმებს არ აჭაჭანებს ეკრანზე, მაშინ, როცა ისეთი უცხოური ფილმების ჩვენებასაც არად დაგიდევთ რომელთა-მხატვრულ ღირებულებაზე რომ არაფერი ვთქვათ— არსებობაც კი აღარ უწყიან თავიანთ ქვეყანაში (მაგ. ინდური „მაწანწალა"). ბუნებრივად იბადება კითხვა: რა დაუშავეს, რით გაანაწყენეს ქართულ ფილმებმა საქართველოს ტელევიზია?

ამ შეკითხვაზე ერთნი ასე გიპასუხებენ: საქართველოს ხელისუფლებას, ყველაზე მეტად, ზოგიერთი ქართველი კინორეჟისორი ეურჩება. მთავრობას მათი დასჯა სურს. არადა, მარტო მათი ფილმები რომ აკრძალოს, მიუხვდებიან. ამიტომ, ეშმაკობა იხმარა, რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმის გარდა (მათაც ხანდახან ჩაროტავს თუ უჩვენებს), ყველა ქართველი რეჟისორის ფილმი ჩაკეტა ... ლიტულში. ამგვარად წურთნის საქართველოს ხელისუფლება ურჩ კინორეჟისორებსო.

# ურჩთა წურთნა თუ რევოლუციონური უარყოფა?

მეორენი კი ასე მოგიგებთ: საბჭოური პერიოდის ქართული ფილმების იგნორირება ჩვეულებრივი რევოლუციონური უარყოფაა, რაც ეროვნულ იდეოლოგიისა და უსისხლო რევოლუციის თეორეტიკოსებს წარსულთან მიმართებაში ხშირად ახასიათებთ.

ორივე ეს მოსაზრება „სიმართლის" დიდ დოზას შეიცავს, მაგრამ უნაკლო და უკრიტიკო მაინც არ გახლავთ. ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია: ქართული ფილმები ქართულ ეკრანზე კვლავინდებურად არ ჩანს.

კობა ლიკლიკაძე

# პასუხი სუკისა და ცეკას არქივებში თავისუფლად მოსეირნე კაცს ანუ ბატონი ჭაბუა მარტო არ ყოფილა

მე, 1944 წლის 7-12 აპრილს სამხედრო ტრიბუნალით ანტისაბჭოთა, კონტრრევოლუციური, ნაციონალისტური, საახანყებო ორგანიზაციის საქმეზე დახურული პროცესით სხვებთან ერთად მსჯავრდებულს — რევაზ ტყავაძეს - საჭიროდ მიმაჩნია გამოვთქვა რამდენიმე შენიშვნა წერილის „განაწყენებულნი მტრობენ სამშობლოს ანუ ყოველმა ჩვენთაგანმა საკუთარ სულში ჩავიხედოთ" (ავტორი-ი.გოცირიძე, „საქართველოს რესპუბლიკა" 29 ოქტომბერი, 1991წ. „გრუზია-სპექტრი" 21-27 ოქტომბერი 1991წ.) გამო.

მე, ვისაც ბედმა ორმოცდაშვიდი წლის წინათ იგივე მარგუნა, რაც ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს, მსურს მოგახსენოთ, რომ იგი მარტო არ ყოფილა.

მოვიყვან ზოგიერთ ნაწყვეტს განაჩენიდან:

"Таким образом Военный Трибунал признал виновным: Абдушелишвили Левана, Сванидзе Шалва по ст.ст. 58-1а и 58-11 УК ГССР (ორივე დახვრეტილია) Мачавариани Георгия /20 წ./, Джорджадзе Вахтанга /15 წ./ по ст. 58-1а и 58-11 УК ГССР и по ст.12 п."в", Цулукидзе Арчила /15 წ./, Морчиладзе Амирана, Ткавадзе Реваза, Цулукидзе Георгия, Силлер Вильгельма,/10-10წ./ Амирэджиби Мзечабука/25 წ./ и Сутта Романа/დახვრეტილია/ по ст.ст.58-1а и 58-11 УК ГССР и по закону от 7 августа 1932г... Ишхнели Георгия и Ткемаладзе Луку /7-7წ./ по ст. 58 -12 УК ГССР, Харанаули Павла /25 წ./ по ст.ст. 58-1а и 58-11, Наneишвили Левана /25 წ./ по ст.ст. 58-12 и 202 УК ГССР..."

ამავე განაჩენით 10-10 წელი მიესაჯა სამ მანდილოსანს, მათ შორის ჭაბუა ამირეჯიბის დედას — ქალბატონ მარიამს.

რისთვის?

"Рассмотрев материалы предварительного и судебного следствия, Военный Трибунал

УСТАНОВИЛ:

... В начале 1942 г. в г.Тбилиси по инициативе быв. "национал- демократа" Абдушелишвили и бывшего члена организации "Молодых марксистов" подсудимого Сванидзе, совместно с ныне убитым бандитом Шелия, была создана нелегальная, антисоветская, националистическая, повстанческая организация, ставившая своей целью свержение совласти в Грузии путем вооруженного восстания ...создание "Грузинской национальной республики"... намеревалась организовать в лесах Душетского района нелегальную школу для подготовки кадров диверсантов и офицерского состава повстанческих отрядов, которые должны были быть размещены по районам Грузии..." და შემდეგ:"В целях изыскания средств для нужд к/р организации, под руководством подсудимого Амирэджиби Мзечабука и Сутта Романа... организовали печатание хлебных талонов... реализовали разным лицам г.Тбилиси через Цулукидзе Арчила, Цулукидзе Георгия и Ткавадзе Реваза... для приобретения оружия для к/р организации."

იმ დროის საგამოძიებო და სასამართლო მასალებში მრავლად მოიპოვება ფალსიფიცირებული, ძიების სასარგებლოდ გაშუქებული ეპიზოდები და დასკვნები, მაგრამ მოყვანილ ნაწყვეტებში სიცრუე არ არის და მართალია ისიც, რომ პურის ტალონების ბეჭდვასა და რეალიზებას ვახდენდით იარაღის შესაძენად.

ავტორს მოჰყავს აგრეთვე:

"Заключение Военной коллегии Верховного Суда СССР", სადაც ნათქვამია, რომ "Амирэджиби... занимался изготовлением фальшивых хлебных талонов и осужден по Закону от 7 августа 1932 года..."/თარიღი -1959წ./ და ატყუებს მკითხველს, ამირეჯიბი ორივეჯერ სისხლის სამართლის დანაშაულისათვის იყო მსჯავრდებულიო.

როგორი ოსტატობით იყენებს ავტორი მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილის, ვფიქრობ, გულდასმით რედაქტირებულ ამ ცნობას?

მივაქციოთ ყურადღება თარიღს — 1959 წ. ამ წლებში ხრუშჩოვმა მილიონ ოთხასიათას ადამიანს, ყოველგვარი გარკვევა-გამოძიების გარეშე, ყველას რეაბილიტაცია მისცა/ი.გ./. ამ რიცხვში მოვხვდით ჩვენც. მომყავს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის, 1959წ.26 ოქტომბრით დათარიღებული № 3/002426-2844 ცნობა, რომელიც ხელთ მაქვს:

"СПРАВКА Дело по обвинению Ткавадзе Реваза Шалвовича пересмотрено Военной Колегией Верховного Суда СССР 25 июня 1959 года.

приговор Военного Трибунала войск НКВД Грузинской ССР от 7-12 апреля 1944 г. в части обвинения Ткавадзе Р.Ш. по ст.ст. 58-1а и 58-11 УК ГССР отменен и дело производством прекрашено за отсутсвием состава преступления.

Ткавадзе Ревав Шалвович считается осужденным по закону от 7 августа 1932 года и мера наказания определена ему в виде 10 лет лишения свободы в ИТЛ с конфискацией имущества.

Начальник секретариата военной коллегии Верховного Суда СССР, полковник юстиции е И.Полюцкий".

ასეთივე ცნობაა გაცემული ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის სახელზეც.

ყალბისმქნელობის მეტი რა უნდა დავარქვათ ამას? როგორ დავუჯეროთ ავტორს სიტყვები: ...მუდამ ვიყავი და ვიქნები დიდი არისტოტელეს უკვდავი სიბრძნის მიმდევარი, ჩვენი გაზეთის დევიზად რომ გვაქვს არჩეული: პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია. არისტოტელეს და პლატონის სიბრძნე და ჭეშმარიტების პატივისცემა გოცირიძესთვის უცხო ხილია, თორემ როგორ მოხდა, რომ სუკ-ისა და ცეკა-ს არქივებში თავისუფლად მოსეირნე კაცმა ზემოთ მოყვანილ საბუთებს ვერ მიაგნო? ტალონების ბეჭდვა-რეალიზება ევალებოდა ორგანიზაციის წევრთა მხოლოდ ერთ ჯგუფს —მათ შორის, მეც. სტატიის ავტორს განზრახული ჰქონდა ბატონ ჭაბუას გასვრა და ლაფი კი ყველას გადაგვასხა. იგი ცდილობს ისე წარმოადგინოს საქმე, ვითომ ჩვენ სისხლის სამართლის დამნაშავეები ვიყავით და გამდიდრების წყურვილი გვამოძრავებდა. არ იყო ასე. ასაკის გამო სიბრძნე გვაკლდა, მაგრამ გული გვერჩოდა, ქართველი ერის თავისუფლება გვწყუროდა. ვიცოდით ისიც, რომ სიკვდილზე ვაწერდით ხელს. ბევრნი ვიყავით, ჯგუფებში გაერთიანებულებიც, მარტონიც. ზოგი დახვრიტეს, ზოგი პატიმრობაში დაიღუპა, ზოგნი დავბრუნდით და გავწიეთ ჭაპანი, როგორც შეგვეძლო. აბა, თუ ვინმეს ახსოვს, ჩვენი თაობის პოლიტიკურად ნაპატიმრალს საზოგადოებისთვის რაიმე ზიანი მოეტანოს და ქართველი ერის წინაშე დამსახურების აღიარების პრეტენზია ჰქონდეს? ვალი მოვიხადეთ, არავისაგან ველით მადლობას, მაგრამ სულშიც ნურავინ ჩაგვაფურთხებს!

ავტორი ბოროტად იყენებს ჭაბუა ამირეჯიბის პირველი გაქცევის /1945წ./ და კვლავ დაპატიმრების შემდეგ /1950წ./ მიცემულ ჩვენებას, — ჩემი ძველი დანაშაული ყალბი ტალონების ბეჭდვით ამოიწურებაო. სწორად მიცემული ჩვენებაა, ყველა ასე მოვიქცეოდით, რადგან ბრალდების უარყოფა ყოველთვის მიზანშეწონილია.

ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: ტრიბუნალის თავმჯდომარემ ჰკითხა, — რომ გაგიშვათ, როგორ მოიქცევი, რას იზამო? ჭაბუამ მიუგო: როგორც მოვიქეცი, ისე მოვიქცევი, რაც ჩემ მამა-პაპას უქნია, იმას ვიზამო... 1944 წელი იყო!

ხსენებული სტატიით მოყენებულ შეურაცხყოფას ცოცხლები როგორმე გადავიტანდით, მაგრამ რას ეტყვის გოცირიძე ვაჟკაცურად დაცემულ მუსტაფა/ლევან/ შელიას, დახვრეტილი ლევან აბდუშელიშვილის, შალვა სვანიძის, რომან სუტას, გულაგის ჯურღმულებში ნაწამები, დასნეულებული და უდროოდ წასული ამირან მორჩილაძის; ვახტანგ ჯორჯაძის, პავლე ხარანაულის, ლელიკო ნანეიშვილისა და სხვათა ჩამომავლებს, ნათესაობასა და მეგობრებს — ადამიანებს, ვინც მათი სახელებით ამაყობენ...

რევაზ ტყავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანა-ცუცა, ბანა-ცუცა!..

თამაზ წივწივაძე

წერილის სათაურს ჯერჯერობით ყურადღებას ნუ მიაქცევთ — მისი ახსნა-განმარტებისათვისაც მალე მოვიცლი!

მანამდე კი ფილოლოგ ანა ლამბაშიძის „ორიოდე შენიშვნა...“-ზე მივაპყრობთ თქვენს ყურადღებას. ეს „შენიშვნები“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ (31.10.91წ.) ფურცლებზე გამოქვეყნდა და კონკრეტულ ადრესატებად „დვრიტასა“ და „საქართველოს“ რედაქტორებს გულისხმობს.

ამ დიდად პატივცემული პიროვნებების მეშვეობით კი ფილოლოგი ანა, ჟარგონის ენით თუ ვიტყვით, პირდაპირ ჩემზე „გადის“!

ეს რომ ნამდვილად ასეა, მისი წერილის სათაურიც მიუთითებს — „ენაზე მომდგარ სიტყვასა განა ყველასა თქმა უნდა?..“

თუ ფილოლოგი ანა აქ მართლა რედაქტორებს გულისხმობდა, მაშინ მათთვის ენაზე მომდგარი სიტყვის „თქმაზე“ კი არ უნდა ესაყვედურებინა, არამედ ჩემგან წამოცდენილი სიტყვის „დაბეჭდვაზე“!

თორემ,რაკი ეს სიტყვები მე მომადგა ენაზე, დასახელებული გაზეთების რედაქტორები პირზე თუ არ დამაფარებდნენ ხელს — ამის უფლება კი, ცხადია, მათ არ ჰქონდათ! — ეტყობა, მაინც წარმოვთქვამდი!

მათ მხოლოდ შეეძლოთ, ეს წამოცდენილი სიტყვები არ დაებეჭდათ!

ასე რომ, ფილოლოგ ანას „შენიშვნები“ პირადად ჩემკენ „მოემართება“!..

ახლა სათაურსაც მივუბრუნდეთ!

გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ჩემს წერილს — „ცუცა სდექ!“ ჯერჯერობით ორი „ცუცა“ გამოეხმაურა: ფილოლოგი ანა ლამბაშიძე პრესით, ქალბატონი ბანა (გვარის გამჟღავნება არ ისურვა!) — ტელეფონით!

რაკი ორ „ცუცასთან“ მქონდა საქმე, ქალების ერთმანეთისაგან გასამიჯნავად მეც ეს ფორმა: ანა-ცუცა, ბანა-ცუცა — მოვიგონე!

ახლა ისიც ვთქვათ: რაც ანა-ცუცამ შემნიშნა, გაზეთშია დაბეჭდილი! ხოლო რაც ბანა-ცუცამ ყურში (ე.ი.ტელეფონში) მითხრა, იმას წერილობით ვერაფრით მოგახსენებთ — გინებასავით გამოუვიდა!

რასაკვირველია, აქ მე იმას კი არ ვჩივი, ორივე მათგანმა — ერთმა წერილობით, მეორემ ზეპირად! — შეურაცხყოფა რომ მომაყენა; ჩემი საყვედური უფრო იმისკენაა მიმართული, ვინც ესენი „ცუცებად“ აქცია!

უფრო ზუსტად: ანა-ცუცა, ბანა-ცუცა ვინც ჩვენს თვალწინ „გააცუცა“–

ზოგიერთის აზრით, მშვენიერი ქალბატონების ამ უხერხულ დღეში ჩაყენებაში თვით ოფიციალურ ხელისუფლებას მიუძღვის ბრალი!

მაგალითად: უზენაესი საბჭოს დეპუტატები, ბატონები: ნოდარ ნათაძე და პაატა კოლუაშვილი ერთობლივად წერენ: „სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქალთა ეს აქციები ორგანიზებულია პრეზიდენტისა და მისი პოლიტიკური ჯგუფის მიერ...“

მე ზუსტად არ ვიცი, მაგრამ თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ შეიძლება პირდაპირაც ითქვას! — ეს მშვენიერი ქალბატონები: ანა-ცუცა, ბანა-ცუცა, — ვინც ჩვენს თვალწინ გააცუცა, — სწორედ ჩვენი მთავრობა ყოფილა!.

* * *

„ცუცას ფენომენზე“ კი, ადრე იქნებოდა თუ გვიან, მე ვიქნებოდი თუ სხვა,- აუცილებლად უნდა დაწერილიყო!

დავწერე და... პასუხიც გვარიანი მივიღე!

ანტონ კათალიკოსის შემდეგ — რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ დაწვაც კი ბრალდება! — ეს უწმინდესი ეროვნული განძი თურმე არავის მიერ არაა ისე შეგინებული და შეურაცხყოფილი, როგორც ჩემგან!

„რა მიზანსაც უნდა ისახავდეს კრიტიკოსი და ვისადმიც უნდა იყოს მიმართული მისი იხუნჯობა (ალბათ, ოხუნჯობა! — თ.წ.), ერის მიერ წმიდათა წმიდად მიჩნეული სახეების შეგინება ვერაფრით იქნება გამართლებული“.

„ამიერიდან მაინც ნურავის მისცემთ ნებას თქვენი გაზეთის ფურცლებზე შეურაცხყოს ის, რაც ერს სათაყვანებლად მიუჩნევია...“

„პოლიტიკური ბრძოლის მიზეზებით, სინამდვილეში კი შურისა და ჯიბრის გამო, თურმე, შესაძლებელია, საქვეყნოდ შეურაცხყო უდიდესი ეროვნული სიწმინდეები“.

შოთა ბატონო! რა ჩემი ფიცი გინდათ, მაგრამ მინდა, იცოდეთ! — სადაც კი თქვენი ღვთაებრივი სახელისთვის ყური მომიკრავს, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, იქვე პირჯვარი არ გადამეწეროს!

ჩემთვის ამ მეტად საპატიო რიტუალს ახლაც უდიდესი მოწიწებით ვასრულებ და გულში ვიმეორებ — „სულმნათო! მადლი შენს სახელს...“

თუმცა, — ამასაც არსენას სიალალით გეუბნებით! — „მე არც ერთი არ მიქნია, სულ ტყუილი მოგახსენეს!..“

ეს ტყუილები კი, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს ჩემთვის ამის თქმა, ფილოლოგმა ანამ მოგახსენათ!

ცხადია, ასე არ მოიქცეოდა, ეს მშვენიერი ქალბატონი ჩემი ცოდვით სავსეებს „ცუცად“ რომ არ ექციათ!..

ანა-ცუცა! ახლა თქვენ მინდა გკითხოთ: მე, ლიტერატორ კაცს, რომელსაც ამქვეყანაზე საქართველოს მერე ყველაზე მეტად რუსთაველი მიყვარს, რა ძალა უნდა დამდგომოდა ისეთი, მისი ღვთაებრივი პოემა რომ შემეგინებინა?!

ბანა-ცუცა! მართალია, თქვენი ტელეფონის ნომერი ჩემთვის არ დაგიტოვებიათ, ახლა რომ შეგეხმიანოთ, მაგრამ „ზეპირად“ გეკითხებით: რა ძალას უნდა გავეხადე იძულებული, ეს მკრეხელობა ჩამედინა?!

ძვირფასო ანა-ცუცა და ბანა-ცუცა! ახლა ორივეს ერთად მოგმართავთ: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისადმი ჩემი უსაზღვრო მოკრძალება და უდიდესი სიყვარული მე საქვეყნოდაც ხომ არაერთხელ დამიდასტურებია?!

* * *

აი, თუნდაც მაშინ, როცა ამ სტრიქონებს ვაქვეყნებდი!

„ბატონებო! მე, ლიტერატორ კაცს, კანონზე მეტად, ცხადია, ლექსის ცოდნა მომეთხოვება — ამასთან, უფრო ხშირად იმ გენიალურ პოეტს დავიმოწმებ, ვისმა „ნაქნავმა“ სამართალმაც საქართველო დღემდე მოიყვანა!

ჩემგან არ გესწავლებათ! მაგრამ, ნახეთ,მისმა თუნდაც ერთმა სტრიქონმა როგორ გაანათა მსოფლიო სამართალი!

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად!..“

აი,ამ სტრიქონების ავტორს ვფიცავარ ისე, თითქოს ბიბლიაზე დამეფიცოს! — ვილაპარაკებ სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს!...“

ძვირფასო ფილოლოგო ანა! თუ მართლა ანა-ცუცა არა ხარ, ნუთუ ამ სტრიქონებში გამოთქმული აზრი ფილოლოგიურად ისე ვერაა ჩამოყალიბებული, ჩემი უსაზომო სიყვარული „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ ვერ გამოიცნო?!

კი მაგრამ, ღმერთი სულ არ გწამთ?!

ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, მე ხომ ერთგან თავად ღმერთს გავუტოლე!

აი, ანა-ცუცა ბატონო! რა კონტექსტში მოვიმოქმედე ეს! —

„ვეფხისტყაოსანი“ ქართველი კაცის მეორე სახარებაა! როგორც ღმერთის საქმეთა განმსჯელად მოკვდავი ვერ გამოდგება, ასევე მკრეხელობაა რუსთაველის პოემის ყოველი რევიზია!

ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევთანხმდეთ:

„რომელმან შექმნა სამყარო“ ავტორი უფრო ახლოს იმასთანაა, „რომელმან“ მართლა შექმნა სამყარო!“

ძვირფასო ფილოლოგო ანა! თუ მართლა ანა-ცუცა არა ხარ, ნუთუ ამ სტრიქონებში გამოთქმული აზრი ფილოლოგიურად ისე ვერაა ჩამოყალიბებული, ჩემი უსაზომო სიყვარული „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ ვერ გამოიცნო?!

აბა, შე ქალო, რა მჭირდა მე საიმისო,ჩემს გასაგონად რედაქტორს რომ ამუნათებ — „ამიერიდან მაინც ნურავის მისცემთ ნებას თქვენი გაზეთის ფურცლებზე შეურაცხყოს ის, რაც ერს სათაყვანებლად მიუჩნევია...“

ანდა, ფილოლოგო ანა, ეს რამ გათქმევინა, ქალო!

„პოლიტიკური ბრძოლის მიზეზებით, სინამდვილეში კი შურისა და ჯიბრის გამო, თურმე, შესაძლებელია საქვეყნოდ შეურაცხყო უდიდესი ეროვნული სიწმინდეები“.

არა, ძვირფასო ანა-ცუცა! თუ გინდათ, ბანა-ცუცასაც უთხარით, ვისაც თქვენ აქ გულისხმობთ, — ის კაცი ჩემთვის შურისა და ჯიბრის საგანი ვერასდროს გახდება!

* * *

ძვირფასო მკითხველო! ნეტა მართლა გაცოდინა, რისთვის შემაჩვენა ფილოლოგმა ანამ და ხატზეც გადამცა!

აი, მიზეზი, გასაკვირველი!

„ჩემთვის სრულიად გაუგებარია, თუ როგორ უნდა მოუბრუნდეს ენა ქართველ მწერალს, რომ თუნდაც ხუმრობით ნესტანს „რეზიდენტი“, „ჯაშუში“, „პატარა მზეთუნახავი“ და ა.შ. უწოდოს. ნუთუ დასაშვებია კრიტიკოსი ისევე ლაზღანდარობდეს...“

აჰ, ლამბაშიძის ქალო ეს სიტყვა ან თქვენს განსწავლულობას, ან თუნდაც წარმომავლობას ვით ეკადრება! — თორემ ჩემს ლაზღანდარობაზე ახლავე მოვუყვები მკითხველებს!

ქაჯეთის ციხეში მყოფ ნესტან-დარეჯანს საიდუმლოდ შეუთვლიან:“რაცა იცი მანდაური, მოგვიწერე, გამულავნე“-ო.

ამასთან დაკავშირებით ჩემს წინა წერილში ვწერდი: „ამ საქმისა მე რა გამეგება! — მაგრამ დარწმუნებული ვარ, მსგავსი ჯაშუშური დავალება — ასე მხატვრულად და ასე დელიკატურად! — არსად და არც ერთი ქვეყნის რეზიდენტისათვის ჯერ არავის მიუწოდებია!“

ცხადია, აქ პოემის მაღალმხატვრულ ღირსებას ვგულისხმობდი!

ძვირფასო მკითხველო! ჩემი მაშინდელი ნათქვამი ახლა აქ სიტყვადახელოდ რომ არ მომეტანა, თქვენც ხომ იფიქრებდით, თითქოს მართლაც ქვეყანა დამექციოს და უპატიებელ შეურაცხყოფა მიმეყენებინოს უკვდავი პოემის უკვდავი პერსონაჟისათვის?

მე კი მხოლოდ იმაში ვარ „დამნაშავე“, კიდევ ერთხელ ხაზი რომ გავუსვი რუსთაველის უდარებელ გენიას! მიაქციეთ ყურადღება! „მსგავსი ჯაშუშური დავალება — ასე მხატვრულად და ასე დელიკატურად! — არსად და არც ერთი ქვეყნის რეზიდენტისათვის ჯერ არავის მიუწოდებია!“

მე აღარ ვიცი! კიდევ რა სითბო და სიყვარული უნდა ჩამეტანებინა ჩემს სტრიქონებში! —„ასე მხატვრულად მსოფლიო ლიტერატურაში ჯერ არაფერი დაწერილა-მეთქი!“

ნუთუ ფილოლოგმა ქალმა აქედან მხოლოდ ის დასკვნა უნდა გამოიტანოს — „ერის მიერ წმიდათაწმიდად მიჩნეულ სახეების შეგინება ვერაფრით იქნება გამართლებული“.

არა, ქალბატონო ანა, რამდენიც უნდა მაბეზღოთ, მე რუსთაველი თავის ავთანდილ-ტარიელიანა და თინათინ-ნესტან-დარეჯანიანია მაინც მუდამ მეყვარება!

ეს მაინც რა ქვეყანა შემოყარეთ, თქვე დალოცვილო! — ნახეთ, ხალხო, მოლაზღანდარე კრიტიკოსმა ნესტან-დარეჯანს პატარა მზეთუნახავი უწოდაო!

ვუწოდე და ახლა რა ვქნა!

ხოლო თუ ამ „ბრალდებიდანაც“ მშრალად გამოვედი, მერე მართლა მე ვიცოდე, ფილოლოგო ანა!

მაგრამ იქამდე მეც მინდა, გკითხოთ: ნესტანი პატარა ასაკის რომ იყო, იმაში გეპარებათ ეჭვი თუ მის მზეთუნახაობაში? ,

არადა, არც ერთი სადავო არაა! — ნესტანი თავისთავადაც და, მით უფრო, ფატმანთან შედარებით, ჯაჭლებით ახალგაზრდა რომ არის, არა მგონია, ეს საკამათო იყოს!

თუ გახსოვთ, „წიგნი ნესტან-დარეჯანისა ფატმანთანა“ ასეთი სტრიქონით იწყება: „პირ-მზე სწერს: „აჰა, ხათუნო,დედისა მჯობო დედაო!“

აქედან ცხადია, თვით ახალგაზრდა ფატმანსაც კი ნესტანი შვილად შეჰფერის!

ახლა ფილოლოგ ანას ისიც მინდა ვუთხრა, რომ ნესტან-დარეჯანი, გნებავთ, პირდაპირი გაგებით, გნებავთ, გადატანითი — ნამდვილი მზეთუნახავი იყო!

დაბადებით მზეთუნახავი!

„ესე რა თქვა, ყმამან სულთქვნა, ცრემლით ბრძანა „შობა ქალი..“

თქვა: „მაშინვე მზესა ჰგავდა, აწ მედების ვისგან ალი!“

კი, ნამდვილად მზეთუნახავი დაბადებულა! ამასთან, ასაკის მომატებასთან ერთად თურმე სილამაზეც ემატებოდა!

„შვიდისა წლისა შეიქმნა ქალი წყნარი და ცნობილი,

მთვარისა მსგავსი, შვენებით მზისაგან ვერ-შეფრობილი...“

ეჭვი არაა, ნესტანი, სილამაზის თვალსაზრისით, მსოფლიოს ერთი საოცრებათაგანი ყოფილა!

ახლა, ქალბატონო ანა, — რაკი წამომცდა! — თუ გნებავთ, ნესტანის მზეთუნახაობას ამ სიტყვის პირდაპირი გაგებითაც დაგიმტკიცებთ!

თუ მზეთუნახავი იმას ნიშნავს, ვისთვისაც თავის დღეში მზეს არ დაუხედავს, ნესტანი სწორედ ასეთი იყო — თავის დღეში ის მზეს არ ჩვენებია!

ძნელი დასამტკიცებელია, არა? ჩემთვის — არც მაინცდამაინც!

ალბათ, გეხსომებათ, პატარა ნესტანი მამისაგან საგანგებოდ აგებულ კოშკში იზრდებოდა: „მეფემან კოშკი ააგო შინაგან საყოფი ქალისა“.

ცხადია, მაღალი კოშკის ბინადარს მზეც იშვიათად მიადგებოდა, მაგრამ ქვეყნიერების მანათობელს კიდეც რომ ეცადა, თავისი სხივებით კოშკში ვერ შეიჭვრიტინებდა! — გარეუ სამყაროსაგან შიგ განლაგებულ ოთახებს მძიმე ფარდაგები იცავდა!

„ვერვინ ხედავდით, შეიქმნა კიდობნად მინა-ვარდითა“.

თუ ვინმეს მისი ნახვის პატივს მიაგებდნენ, ეს ფარდები უნდა აეწიათ! „ასმათ ფარდაგსა აზიდნა, გარე ვდექ მოფარდაგულსა“.

ხოლო თუ იმასაც მკითხავთ, რა ნაჭრისგან იყო მოფარდაგებული ეს ოთახებიო, გეტყვით! „კარსა ზედა მოჰფარვიდა ფარდაგები ოქსინისა...“

ცხადია, პატარა ნესტანი სიანცით ხანდახან ბაღჩაშიც ჩამოირბენდა, მაგრამ ეს ყოველთვის იმ დროს ხდებოდა, მზეს რომ არსად გადაყროდა!

„ზოგჯერ კოშკს ჯდის, ზოგჯერ ბაღჩას ჩამოვიდის, რა დგის ჩრდილი...“ ნახეთ, ბაღჩაში მაშინ ჩამოდიოდა, „რა დგის ჩრდილი.“. დრო რომ მქონდეს, ამ „თემას“ კიდევ უფრო გავშლიდი და საბუთსაც მეტს მოვიტანდი, მაგრამ, ეტყობა, დასასრული ხუმრობასაც აქვს!

ამიტომ აღარც მე გავაგრძელებ და ერთს ვიტყვი, თუმცა ამაზე მეტი რაღა გითხრათ! — მზე თავად ერიდებოდა ნესტან-დარეჯანთან შეხვედრას!

„მისი, მზესაცა რიდება ჰქონდის ნახვისა ვისისა...“ ასე რომ, ქალბატონო ანა, მე ვერავითარ მკრეხელობას იმაში ვერ ვხედავ, ნესტან-დარეჯანს პატარა მზეთუნახავი რომ ვუწოდე!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის უასაკოც იყო და ღვთაებრივად ლამაზიც!

ამიტომ არა მგონია, ეს მშვენიერი ეპითეტი პატარა ქალბატონის ღირსებას და პატივს რითიმე ბღალავდეს!

მე კი ფილოლოგმა ანამ ერთობ დიდი შეურაცხყოფა მომაყენა, როცა ჩემი მისამართით თქვა: „ჩემთვის სრულიად გაუგებარია, თუ როგორ უნდა მოუბრუნდეს ენა ქართველ მწერალს, რომ თუნდაც ხუმრობით ნესტანს...“პატარა მზეთუნახავი“ და ა.შ. უწოდოს“.

მე ახლაც მზად ვარ, თუ, რასაკვირველია, ამის საჭიროება იქნება, ღირსების სასამართლოზეც წარვდგე (ბატონ ავთანდილ რცხილაძესთან რომ მოვიგებ პროცესს, მერე!) და ჩემი უდანაშაულობა იქაც დავამტკიცო!

ფილოლოგ ანას კი მსგავსი პროცესის მოგება გაუჭირდება, მეტადრე მაშინ, თუ იქ ჩემდამი მიძღვნილ ამ სტრიქონსაც გაახსენებენ:

„ნუთუ დასაშვებია კრიტიკოსი ისევე ლაზღანდარობდეს ნესტანზე, როგორც ადრე ახრასია მუჩიაშვილსა (ა.კალანდაძის „მწვანე შტოს“ პერსონაჟი) და ფიცხი ჯიჯეიშვილის საკმაოდ მდარე მოთხრობების პერსონაჟ ქალებზე წერდა?“

ეჰ, ფილოლოგო ანა! თქვენ არა მარტო ჩემი, ეტყობა, სხვათა შეურაცხყოფაც არაფრად გიღირთ! თორემ აქ დასახელებული მწერლების ამ ირონიულ კონტექსტში მოხსენიება თქვენს დიდსულოვნებაზე სულაც არ მიუთითებს!

მით უფრო, როცა ამ ფრაზას პატივცემული მწერლების კიდევ უფრო აბუჩად აგდება მოსდევს!

„(აქვე მადლიერების გრძნობით უნდა შევნიშნო, რომ, თუ არა ბატონ თამაზ წივწივაძის წერილები, XX საუკუნის ქართული მწერლობის არაერთ წარმომადგენელსა და მათ თხზულებებზე, ჩემდა სამარცხვინოდ, წარმოდგენაც არ მექნებოდა, ისე ჩავიდოდი სამარეში)“.

ქალბატონო ანა, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ და, რაკი თქვენ ჩემი წერილებით იქმნით შთაბეჭდილებებს XX საუკუნის ქართული მწერლობის არაერთ წარმომადგენელზე, კიდევ ბევრ მათგანს გაგაცნობთ, ოღონდ ერთი მოკრძალებული თხოვნაც მექნება — იქნებ ეცადოთ და მეტი პატივით მოეპყრათ მათ!..

* * *

ძვირფასო ანა-ცუცა! მე როგორ მოგთხოვთ, მაგრამ, სადაც წესი და რიგია ლიტერატორი კაცის მიმართ ცოტა მეტ გულითადობას უნდა იჩენდეთ!

აი, თუნდაც ჩემს მიმართ! თქვენ კი წერთ:

„მაქვს კიდევ ერთი შენიშვნა. ურიგო არ იქნებოდა, სანამ დაბეჭდვის ნებართვას მისცემდით (ნახეთ, „საქართველოს“ რედაქტორს ამუნათებს! — თ.წ.) დაკვირვებით წაგეკითხათ, რა კონტექსტში მოიხსენიებს ბატონი თამაზ წივწივაძე „ყუთლუ-არსლანის კარავს“.

ქალბატონ ანას ამ შენიშვნაზე მეც უნდა შევნიშნო, რომ ქართულ ლიტერატურაში იმდენი დამსახურება კი მაქვს, „დაბეჭდვის ნებართვის მისაცემად“ რიგში დიდხანს არ ჩავდგე! არც ის მგონია, ვინმეს ბატონი ნოდარ გრიგალაშვილი დასაბეჭდი მასალის „დაუკვირვებელ წაკითხვაში“ ჰყავდეს შემჩნეული!

ფილოლოგი ანა განაგრძობს: „უადგილოდ ამ „კარვის“ ხსენება ძალაუნებურად აღძრავს ეჭვს, რომ რომის ისტორიაში ღრმად ჩახედული კრიტიკოსისთვის „ყუთლუ-არსლანის კარავი“ ფრთიანი გამოთქმაა და მეტი არაფერი“.

ნამდვილად ასეა, ქალბატონო ანა! სწორედაც „ფრთიანი გამოთქმაა“! — ამის გარდაც ყუთლუ-არსლანი თამარ მეფის მხარდამჭერი იყო თუ არა, ეს არავისგან მესწავლება!

მართალი გითხრათ, თავისი „კარვის“ გარშემო კი არა, ყუთლუ-არსლანს გულში რა ჰქონდა, მგონია, ისიც კი ვიცი!...

* * *

ქალბატონო ანა, არ დაგიმალავთ, თქვენი წერილის წაკითხვის შემდეგ პირველი, რაც გამახსენდა, ისევ რუსთაველის სტრიქონი იყო! „ქალი ომსა რაგვარ მაწყევს, აგრე ვითა დავძაბუნდი!..“

მერე, როცა თქვენში ანა-ცუცა ამოვიცანი, ყველაფერი თავის ადგილას დადგა და ტელეფონზე გაცნობილი ბანა-ცუცა მომაგონდა!

ამასობაში კი, ვინც თქვენი ცოდვა დაიდო და ამ დღეში ჩაგყარათ, ისიც გავიხსენე, თუმცა რა გახსენება მინდოდა, როცა ბატონი ნოდარ ნათაძე და ბატონი პაატა კოლუაშვილი ამ საქმეში ოფიციალურ მთავრობას სდებენ ბრალს!

ამიტომაცაა, პატივცემული დეპუტატების დახმარებით, ამ დასკვნამდე რომ მივედი!

ანა-ცუცა, ბანა-ცუცა — მთავრობამ სულ გააცუცა!..



# პატიმრის რეპლიკა ციხიდან

ეს რა დღეში ვართ, ხალხო? როდემდე უნდა ვითმინოთ ეს ფარისევლობა და უგუნურება? ნუთუ საბოლოოდ დავკარგეთ თავმოყვარეობისა და ეროვნული ღირსების გრძნობა? რა ხდება ჩვენს თავს? ვ ი ღ უ ბ ე ბ ი თ !!!

ხომ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება ამ ერთი წლის მანძილზე საჯაროდ განცხადებული ჩვენი გონებრივი, სულიერი და ზნეობრივი დეგრადაციისა. მაგრამ ის, რასაც ა.წ. 25 ნოემბერს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" გვთავაზობს, ჩვენი „ეროვნული" ნაღვაწის კვინტესენციაა; ერთგვარი სარკე ჩვენი დღევანდელი ყოფისა სამი თვისებით რომ ხასიათდება: ფარისევლობა, მებრძოლი უმეცრება, უზნეობა.

პირველ გვერდზე დაბეჭდილი წერილი „ურმის თვალზე წამება წმინდა დიდმოწამის გიორგი ძლევაშემოსილისა" ნათლად გვიჩვენებს სულიერი სიწმინდის, მოწამეობრივი ცხოვრებისა და ბოროტებასთან შეურიგებლობის გზას, რომელსაც ჩვენ არ მივყვებით. ვქადაგებთ, სინამდვილეში კი ვცრუობთ, ვდევნით და ცილს ვწამებთ ერთმანეთს.

ხოლო ის, რომ მებრძოლი უმეცრება ჩვენს ისტებლიშმენტს ახასიათებს, იმავე ნომრის მეორე გვერდზე ჩანს პუბლიკაციიდან, რომელსაც „პრეზიდენტის საათი" ეწოდება.

რაც შეეხება უზნეობას, გავეცნოთ მეოთხე გვერდზე ს.ჯაჯანიძის წერილს „პატარა სამშობლო არ არსებობს". მის ავტორს ექიმი ვერ უშველის. იგი სკოლის დაწყებით კლასში უნდა დააბრუნო დედაენის შესასწავლად. კარგი პედაგოგი სჭირდება, რომელიც აუხსნის, რომ პუბლიცისტიკას, როგორც მინიმუმი, საწყისი განათლება, ელემენტარული ერუდიცია და სინდისის ნატამალი მაინც უნდა.

თუმც, ვშიშობ, ამ კომპონენტებიდან განსაკუთრებით მესამის უქონლობა დიდ სიძნელეებს შეუქმნის ს.ჯაჯანიძეს თანაკლასელებში პატივისცემის მოპოვებას. რამეთუ არ იმსახურებს პატივისცემას ადამიანი, რომელმაც ჯერ 1991წ. 16 სექტემბერს ოპოზიციის გაერთიანებულ მიტინგზე, 50 ათასი თანამემამულის თანდასწრებით, მოინანია საკუთარი დანაშაულებრივი საქმიანობა ყოფილ თანამებრძოლებთან (ე.წ.„მრგვალ მაგიდასთან") და ანათემას მისცა „სულიერი მამა" — ზვიად გამსახურდია, რის დასტურადაც საჯაროდ ნაკუწებად აქცია ჰელსინკის კავშირის მოწმობა. ხოლო მოგვიანებით, 1991წ. 25 ნოემბერს მრგვალი მაგიდის რუპორით ბრძანა: „სწორედ ამიტომ აჯანყდნენ ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ, რათა როგორმე დაასამარონ მათი ანტიმორალის გამალატაკებელი ეროვნული თავისუფლების იდეა. მაგრამ მათი დრო, დროება პირფერობა მჭმეველი (?!) ელიტარებისა და ღირსებაშესყიდული ინტელექტებისა სამარადისოდ ჩაბარდა ქართული ჟამთაღრიცხვის შავბნელ ფურცლებს და როგორი მემამულური სულიც უნდა ბუდობდეს მათ ეროვნებაწაშლილ ფსიქიკაში, მათ მისწრაფებებს განხორციელება არ უწერია. ჩვენი განურღვეველი ერთობა (?!!!) ნებისმიერი პროკომუნისტური იდეების მქადაგებელთ გასცემს საკადრის პასუხს და დაე, გვერწმუნოს ყველა თუ ქართველები ისეთივე ერთობით ვიქნებით, როგორც სექტემბერ-ოქტომბრის ამბოხების დროს, არათუ კრემლის ემისრებს დავამარცხებთ, არამედ თავად კრემლსაც კი" (ხაზგასმა ჩემია — გ.ხ.).

ღმერთმა დაგვიფაროს ჯაჯანიძისეული „ერთობისაგან". სწორედ ჯაჯანიძისეული „იდეალების" არსებობა, „მრგვალების" პრესითა და ტელევიზიით ნაქადაგარი, არის ჩვენი საზოგადოების მძიმე ავადმყოფობის მიზეზი, რომელსაც დაუყოვნებლივ ესაჭიროება მკურნალობა.

გიორგი ხაინდრავა

**1991წ. 25 ნოემბერი**
**სუკ-ის იზოლატორი**

# ყოფილმა პოლიტპატიმრებმა მოითხოვეს

**მიმდინარე წლის 7-8 დეკემბერს ქ.სანკტ-პეტერბურგში ჩატარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის 1950-1980-იანი წლების პოლიტიკურ პატიმართა მეორე შეხვედრა, რომელსაც ორგანიზაცია გაუკეთა საზოგადოება ,,მემორიალმა''.**

**შეხვედრას ესწრებოდნენ ყოფილი პოლიტიკური პატიმრები სხვადასხვა რესპუბლიკებიდან. საქართველოდან ამ შეხვედრაზე მიწვეულ ყოფილ პოლიტპატიმართაგან ერთ-ერთი, ბატონი ზურაბ გოგია, გვესაუბრება ამ შეხვედრის შესახებ.**



—ბატონო ზურაბ, საინტერესოა, როგორ მოხდა თქვენი მიწვევა ამ შეხვედრაზე და საერთოდ, როგორ ხდება მსგავსი შეხვედრების ორგანიზება?

—ყოფილ პოლიტრეპრესირებულთა ინიციატივით უკრაინაში, ბელორუსიაში, ლიტვაში შექმნილია საბჭოეთის ყოფილ პოლიტიკურ პატიმართა კავშირები, რომლებიც დიდი მუშაობას ეწევიან რეპრესირებულთა მორალური და მატერიალური რეაბილიტაციისათვის. ამჯერად, საზოგადოება ,,მემორიალის'' თაოსნობით, პოლიტპატიმართა შეხვედრა გაიმართა ქ.სანკტ-პეტერბურგიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, სოფელ რეპინოში, ყოფილ პარტიულ ფუნქციონერთა დასასვენებელ კომპლექსში, რომელიც ფინეთის ყურესთან მდებარეობს და თანამედროვე ცივილიზაციის არცერთ სიკეთეს არაა მოკლებული.

შეხვედრას დაესწრო სამასამდე ყოფილი პოლიტპატიმარი. საქართველოდან ჩასულები ვიყავით ბატონები ვაჟა ძღენტი, გურამ გოგბაიძე, კობა კომახიძე(სტუმრის სტატუსით) და მე. გარდა ამისა, ესწრებოდნენ ჩემთვის უცნობი ქალბატონი და ებრაელი ცოლ-ქმარი.

შეხვედრის მონაწილეებმა წუთიერთი დუმილით პატივი მიაგეს იმ პოლიტიკურ პატიმართა ხსოვნას, რომლებიც დაიღუპნენ საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში.

შეხვედრის დღის წესრიგში იდგა ყოფილ პოლიტპატიმართა მორალური და მატერიალური რეაბილიტაციის, სუკ-ის არქივის საზოგადოება ,,მემორიალისათვის'' გადაცემის საკითხები, ასევე უნდა მოესმინათ ანგარიშები ბელორუსიის, ლიტვის, უკრაინის პოლიტპატიმართა კავშირების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

—რუსეთში, რამდენადაც ვიცი, ამ შეხვედრამდე არ ყოფილა შექმნილი რეპრესირებულთა კავშირი. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ახლა ამ კავშირის შექმნა რუსეთში და რა გზები დაისახა შეხვედრაზე რუსეთის ყოფილ პოლიტპატიმართა მორალური, მატერიალური რეაბილიტაციისათვის?

—საბჭოურ რუსეთში, ბუნებრივია, ფიქრიც კი არ შეიძლებოდა მსგავსი კავშირის შექმნაზე. ამჟამად, როცა რუსეთში მართლაც აღმავალი გზით მიდის დემოკრატიული მოძრაობა,თავისუფალია პრესა, ტელევიზია, ინფორმაციის სხვა საშუალებები ყოველგვარი დიქტატისაგან, როცა უბრალო მოკვდავს შეუძლია თავისუფლად გააკრიტიკოს ელცინიც, სობჩაკიც და ამისათვის მას ,,კრემლის აგენტად'', ,,ერის მოღალატედ'' არავინ შერაცხავს, შესაძლებელი გახდა შექმნილიყო ისეთი ორგანიზაცია, რომელიც იზრუნებდა ყოფილ რეპრესირებულ პირთა მორალური, მატერიალური რეაბილიტაციისათვის და სწორედ ამ შეხვედრაზე ჩაეყარა საფუძველი რუსეთის ყოფილ პოლიტპატიმართა კავშირის შექმნას.

ცნობილმა დისიდენტმა, ყოფილმა პოლიტპატიმარმა, ამჟამად რუსეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა სერგეი კოვალენკომ შეხვედრის მონაწილეთ წარუდგინა კანონპროექტი ყოფილი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ პატიმართა მორალური და მატერიალური რეაბილიტაციის შესახებ, რომლის განხილვაშიც ცხოველი მონაწილეობა მიიღეს რეპრესირებულებმა. გადაწყდა, რომ აღნიშნულ კანონპროექტს დასამტკიცებლად გაიტანენ რუსეთის უზენაესი საბჭოს სესიაზე.

—ბატონო ზურაბ, ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენ საკმაო ხანი დაყავით საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში. რა ბრალდება გქონდათ წაყენებული და ვინ იყვნენ თქვენთან ერთად დაკავებულნი?

—**1977** წელს შეიქმნა არალეგალური, ეროვნული თვითშეგნების აღორძინების ორგანიზაცია, რომლის კომიტეტის წევრები ვიყავით ვაჟა ძღენტი, ზურაბ მუმლაძე, ვახტანგ ჭითავა და მე. ჩვენი ძირითადი საქმიანობა იყო ანტისაბჭოთა პროკლამაციების გავრცელება. კერძოდ, **1979** წლის **17** თებერვალს, ნახევარი საათის განმავლობაში, ერთდროულად ქალაქებში თბილისში, რუსთავში, გორში, ბათუმში, ქუთაისში გავავრცელეთ პროკლამაციები, რომელშიც მოვუწოდეთ თანამემამულეებს არ ეზეიმათ 25 თებერვალი და ამ დღეს, პროტესტის ნიშნად, შავი სამგლოვიარო სამკლავურებით გამოცხადებულიყვნენ სამსახურებში და სასწავლო დაწესებულებებში. რა თქმა უნდა, როგორც ხდება ხოლმე, ჩვენს შორისაც აღმოჩნდა ვილაც სულმოკლე, რომელმაც, ეტყობა სუკ-ს მიჰყიდა სული და ასე აღმოვჩნდით ვაჟა ძღენტი, ვახტანგ ჭითავა და მე პერმის ოლქის საკონცენტრაციო ბანაკებში სასჯელის სხვადასხვა ვადებით.

—საინტერესოა, როგორ აფასებენ ყოფილი პოლიტიკური პატიმრები საქართველოში ამჟამად მიმდინარე პროცესებს და თუ ითქვა ამის შესახებ შეხვედრაზე?

—ჯერ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ შეხვედრის მონაწილეები ძალიან გულთბილად შეხვდნენ საქართველოდან მიწვეულებს. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან, ბევრი მათგანი კარგა ხნის ნაცნობი იყო ჩვენთვის და გარდა ამისა, ყოფილი პოლიტპატიმრებს შინაგანად აქვთ ურთიერთსოლიდარობის ძლიერი გრძნობა.

რაც შეეხება დღეს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, ამის შესახებ კულისებშიც, შეხვედრის ტრიბუნაზეც ითქვა, რომ საქართველოში დღეს ტოტალიტარული რეჟიმია, ხელისუფლების მიერ იდევნება განსხვავებული აზრი, არ არის პრესის, სიტყვის თავისუფლება, საქართველოს ციხეები სავსეა პოლიტპატიმრებით და ა.შ.

რა თქმა უნდა, ჩვენ შევეცადეთ გაგვენეიტრალებინა ეს აზრი და მეც, ბატონმა ვაჟა ძღენტმაც ჩვენს გამოსვლაში ხაზი გავუსვით იმას, რომ საქართველოზე ასეთი წარმოდგენის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ცენტრალური ტელევიზიისა და პრესის ცალმხრივ, მიკერძოებულ ინფორმაციას. მაგრამ, ამასთანავე ვერ უარვყავით ის ფაქტი, რომ საქართველოში მართ-

რი პატიმრები. აქვე შევეცადეთ ობიექტურად წარმოგვეჩინა შიდა ქართლში, აფხაზეთში მიმდინარე პროცესები და აღვნიშნეთ, რომ საქართველოში მიმდინარე ეთნოკონფლიქტები ინსპირირებულია მესამე ძალის მიერ და მოვუწოდეთ ყოფილ პოლიტპატიმრებს ყველაფერი იღონონ თავიანთ რესპუბლიკებში იმისათვის, რომ ამ რესპუბლიკების მთავრობებმა სცნონ საქართველოს დამოუკიდებლობა.

ამავე ტრიბუნიდან მივულოცეთ უკრაინის, ბალტიისპირა რესპუბლიკების წარმომადგენლებს განთავისუფლება და წამოვაყენეთ წინადადება, რომ ყოფილ პოლიტპატიმრებს, მორალური მხარდაჭერის მიზნით, გაეგზავნათ მიმართვა საქართველოს ხელისუფლებისადმი საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ვინმე როსტისლავ ევდოკიმოვი, საკმაოდ შოვინისტურად განწყობილი პიროვნება, კატეგორიული წინააღმდეგი გამოვიდა ამ მიმართვისა, იგი მაინც ერთსულოვნად იქნა მიღებული და იმავე დღეს გაეგზავნა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს და მთავრობას.

აქვე, შეხვედრის მონაწილეთა ინიციატივით, დეპეშები დაეგზავნათ რუსეთის, ბელორუსიის, უკრაინის, საქართველოს ხელისუფალთ, რომელშიც ყოფილი პოლიტპატიმრები მოითხოვენ ოპონენტებთან ცივილიზებული მეთოდებით ბრძოლას და პოლიტპატიმართა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას(აღნიშნული მიმართვისა და დეპეშის ტექსტები ჩვემოთ მოგვყავს).

ბატონო ზურაბ, მადლობა მინდა მოგახსენოთ საუბრისათვის და აღვნიშნო, რომ ალბათ, სასურველია, საქართველოშიც შეიქმნას პოლიტპატიმართა მსგავსი კავშირი, რომელიც იზრუნებდა რეპრესირებულ ადამინთა ბედზე, მათს მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერაზე, ადამიანთა უფლებების დაცვაზე, ვფიქრობ, ჩვენთან ეს არ უნდა გაჭირდეს, მით უფრო, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტიც ყოფილი პოლიტპატიმარია.

ესაუბრა
სერგო ჯანაშია

**რსფსრ-ს პრეზიდენტს ბ.ელცინს**
**უკრაინის რესპუბლიკის პრეზიდენტს ლ.კრავჩუკს**
**ბელორუსიის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს სტ.შუშკევიჩს**
**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზ.გამსახურდიას**

**ყოფილი საბჭოთა კავშირის პოლიტპატიმრების II შეხვედრის მონაწილენი მოგიწოდებთ ოპონენტებთან ცივილიზებული მეთოდებით ბრძოლისაკენ და მოვითხოვთ პოლიტპატიმართა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.**

ქ.სანკტ-პეტერბურგი, 1991 წ.
8 დეკემბერი

* * *

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს
საქართველოს მთავრობას

**ყოფილი საბჭოთა კავშირის პოლიტპატიმართა II შეხვედრის მონაწილეთა მიმართვა**

**ჩვენ, ყოფილი პოლიტპატიმრები, ყოველთვის ვიყავით ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის მხარეზე. ჩვენ მივესალმებით ქართველი ხალხის ნებას, რომელიც გამოხატა მან რეფერენდუმზე და ერთსულოვნად ვცნობთ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას.**

**ჩვენ ღრმად გვწამს, რომ საქართველო დაადგება განვითარების დემოკრატიულ გზას და ქვეყნის უმაღლეს ფასეულობად იქცევა ადამიანთა უფლებების დაცვა.**

**ჩვენ, რომელთაც გამოვცადეთ საბჭოთა ბანაკებისა და ციხეების სიმძიმე და ვიცით, თუ რა არის სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნა, მოვითხოვთ იმ ყველა ქართველი სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, რომლებიც იმყოფებიან ამჟამად პატიმრობაში.**

**ვუსურვებთ საქართველოს რესპუბლიკას თავისუფლებას და აყვავებას**

ქ.სანკტ-პეტერბურგი
1991წ. 8 დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუკ-ის გამოლაშქრება ოფიციალური პრესის ფურცლებზე

ამა წლის „ლიტერატურულ საქართველოში" (1 ნოემბერი,1991წ.) გამოქვეყნდა ყოფილი იმპერიალისტური სუკ-ის ორი მაღალჩინიანი თანამშრომლის წერილი, სადაც ცდა არის ხელისუფლების-პრეზიდენტის განდიდებისა და ოპოზიციის დასამარებისა. ერთ-ერთ მათგანს პასუხი გასცა მწერალმა ზაურ კალანდიამ გაზეთ „საქართველოს"(12 ნოემბერი, 1991წ.) ფურცლებზე. მაგრამ ამის შემდეგ ისევ ზალპივით გაისმა ჩეკისტთა პასუხის პასუხები გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოსა"(13 დეკემბერი,1991წ.) და „თბილისის" (10 დეკემბერი,1991წ.) ფურცლებზე. სხვათაშორის, ბ-ნ ზ.კალანდიას წერილიდან შევიტყვე, რომ ერთ-ერთ ავტორს, ნაპოლეონ გადელიას, თავისი ჩეკისტური წარსული დაუმალავს მკითხველისათვის. ბატონი ნაპოლეონი ამას ასე ხსნის „ლიტერატურული საქართველოს" შემდეგ ნომერში: რედაქციისათვის შეგნებულად არ მიცნობებია, რომ მე სუკ-ის ყოფილი თანამშრომელი ვარ, ვშიშობდი, იქნებ ამ გარემოებას ხელი შეეშალა". აქვე ვიტყვით, რომ სულ ტყუილად შეწუხებულა ამ მხრივ ბ-ნი ნაპოლეონი, რადგან როგორც ავტორს „600 გვერდიანი რომანისა ჩეკისტურ თემაზე"(მისი სიტყვებია იმავე გაზეთში) „ლიტ.საქართველოს" რედაქციას არ შეიძლება არ სცოდნოდა ეს, თუნდაც სამსახურეობრივი მოვალეობის გამო. მაგრამ ყოველივე ეს არ არის მთავარი. მთავარია ის, თუ ეს ორი ჩეკისტი(ილია ბარამიძე და ნაპოლეონ გადელია) რა ხერხებით ცდილობენ ოპოზიციის დასამარებას და ამ დროს რა წინააღმდეგობაში ვარდებიან ისინი.

დავიწყოთ იმით, რომ ბ-ნი ილია ბარამიძე, სუკ-ის პოდპოლკოვნიკი, თავის ინტერვიუში, რომელიც მან მისცა გაზ. „თბილისს"(აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ გაზეთის კორესპონდენტის აღფრთოვანება, რომ ინტერვიუზე მას „მისდა სასიხარულოდ ბატონი ილია დათანხმდა" და აგრეთვე გაზეთის მიერ ამ ჩეკისტის პრესტიჟული სურათის გამოქვეყნება, როგორც ჩანს „დიდ დამსახურებათა გამო"), გვაუწყებს, რომ მან სუკ-ში დაჰყო 19 წელი(თვით კი დაიბადა 1947 წელს), თუმცა, „ლიტ. საქართველოში" კი ამბობს, რომ მან სუკ-ში 20 წელი ითანამშრომლა. დავუშვათ, რომ ეს უნებური შეცდომაა, მაგრამ შემდეგ დავინახავთ, რომ წლებს ამ შემთხვევაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ. საქმე ისაა, რომ როგორც ი.ბარამიძე გვარწმუნებს, იგი ეროვნულ მოძრაობას შეუერთდა 1988 წლიდან, ე.ი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იმავე წელსვე დატოვა სუკ-ის რიგები. მაგრამ, ამავე ინტერვიუში იგი ამტკიცებს, რომ „ზვიად გამსახურდია სუკის დამუშავების ობიექტი იყო 1956 წლის 9 მარტიდან 1989 წლის 9 აპრილამდე". ისევ დავუშვათ, რომ „1956 წლის 9 მარტი" მან იცის სუკ-ში არსებული „საქმეებიდან", მაგრამ, მაშინ, როგორღა მსჯელობს იგი 1989 წელზე, ზუსტად „9 აპრილამდე", როგორც იგი ამბობს, თუკი იგი მაშინ სუკ-ის წევრი აღარ იყო? წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის,რომ იგი 1989 წელსაც სუკ-ის რიგებში და ერთდროულად „ეროვნულ მოძრაობაშიც" იმყოფებოდა, ე.ი. ორმაგი ჯაშუშის როლს თამაშობდა. რაკი ბ-ნი ი. ბარამიძე, თავისივე განაცხადით „მზად ვარ წარსვდგე ჩემი ხალხის სამჯავროზე..." ნებას გვაძლევს მისი პიროვნების შესახებ კითხვები დავსვათ, იქნებ გვიპასუხოს მან, თუ 1988 წლიდან რომელ საზოგადოებასა ან პარტიაში იმყოფებოდა, ან რომელ დისიდენტურ ჟურნალში მოღვაწეობდა, ან სად და როგორ გამოიჩინა თავი ეროვნულ მოძრაობაში, ან საერთოდ, როდის დატოვა მან კომპარტიის რიგები? მისი ბიოგრაფიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელსაც იგივე გაზეთი აქვეყნებს, მას 1970 წელს დაუმთავრებია თსუ ფილოლოგიური ფაკულტეტი, ე.ი. ზემოაღნიშნულ წლებს თუ მოვუხმობთ, იგი უკვე სტუდენტობის ჟამს გამხდარა სუკ-ის წევრი. აქ გვებადება კითხვა: იცოდნენ კი მისმა იმჟამინდელმა ამხანაგებმა, მეგობრებმა, სტუდენტებმა, რომ მათი კოლეგა „სუკელი" იყო?

შემდეგი, რასაც ბ-ნი ი.ბარამიძე გვაუწყებს, არის ის, რომ სუკ-ი დანაშაულებრივი ორგანიზაცია არ ყოფილა,დანაშაულებრივი იქ მხოლოდ მე-5 განყოფილება იყო, რომელიც შექმნილა 1967 წელს სუკ-ის თავმჯდომარედ იური ანდროპოვის დანიშვნის შემდეგ და ეს განყოფილება „ყველაფერ ეროვნულს ებრძოდა". დანარჩენი განყოფილებები კონტრდაზვერვის ხაზით მუშაობდნენო, დასძენს ი. ბარამიძე. სუკ-ის „დაზვერვა-კონტრდაზვერვას" ასევე ხოტბას ასხამს ნაპოლეონ გადელია. მას, თურმე, თავისი ჩეკისტური რომანი იმიტომ დაუწერია, „რომ მეჩვენებინა ქართველი კაცის ნიჭი და მისი წვლილი დაზვერვა-კონტრდაზვერვის სფეროში".

აქ პრინციპულად უნდა განვაცხადოთ შემდეგი: ყველაფერი ის, რაც იმპერიის განდიდებასა და მის შენარჩუნებას ეხმარებოდა, გახლდათ ანტიქართული მოვლენა. და პირიქით: რაც იმპერიას დაასუსტებდა და დაშლიდა, საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი განთავისუფლების წისქვილზე ასხამდა წყალს. ამიტომ ყოვლად მიუღებელია ჩვენთვის პატივცემულ ჩეკისტთა მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სუკ-ის „დაზვერვა-კონტრდაზვერვა" ქართველი კაცისათვის სანაქებო რამ ყოფილიყოს. ასევე, ი.ბარამიძის მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სუკ-ი მხოლოდ 1967 წლიდან, ანდროპოვის მოსვლასთან დაკავშირებით გახდა „დანაშაულებრივი" და 1921-1966 წლებში კი სუკ-ში ანგელოზები ისხდნენ. დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ სუკ-ის ისტორიის ყველაზე ბინძური და სისხლიანი პერიოდი სწორედ ამ წლებზე მოდის და ვინც ამ პერიოდის „გათეთრებას" შეეცდება, მასზე დასკვნების გამოტანა მკითხველისათვის მიგვინდვია. ასე, რომ ი.ბარამიძის განაცხადი -„საკმაოდ პატიოსნად ვემსახურე იმპერიას, არ მიყვარს უგულისყუროდ გაკეთებული საქმე", ვფიქრობ, კომენტარებს აღარ საჭიროებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ნაპოლეონი და ი.ბარამიძე თავიანთ წერილებში ერთმანეთს ამკობენ და ერთურთის „მეგობრებად" მოიხსენიებენ თავს. მიუხედავად ამისა ისინი გარკვეულ ურთიერთწინააღმდეგობაში ვარდებიან. მაგალითად, ბ-ნი ი.ბარამიძე ბრძანებს, რომ „გამსახურდია-კოსტავას" მიმართ სუკ-ის მთელი ხელმძღვანელობა,„ბ-ნ ოთარ ხატიაშვილის გამოკლებით, მათი მოძულე იყო". აქედან გამომდინარე ჩვენ ვაკეთებთ დასკვნას, რომ ისინი ანტიპატრიოტები და უღირსი ადამიანები იყვნენ. მაგრამ აბა მოვუსმინოთ ნაპოლეონ გადელიას, თუ რო[illegible] ამკობს და აკეთილშობილებს იგი სუკ-ის გენერალ ნოდარ მაისურაძეს „ლიტ.საქართველოს" ფურცლებზე და აქ სამართლიანად შეიძლება ვიკითხოთ: რაო,ბატონო ი.ბარამიძევ, სუკ-ის გენერალი სუკ-ის ხელმძღვანელობაში არ შედიოდა? ანუ,უფრო სწორედ, რომელს დავიჯეროთ? აქვე გვინდა ბ-ნ ი.ბარამიძეს შემდეგი კითხვა დავუსვათ, რადგანაც იგი, როგორც ვთქვით, ამის უფლებას გვაძლევს: რომელი „ბუნტარული ხასიათის" გამო, როგორც თქვენ ბრძანებთ, „გაგაძევეს" თქვენ სუკ-ის ცენტრალური აპარატიდან?

ბ-ნი ი.ბარამიძე გაზ. „თბილისის" ფურცლებიდან გვაუწყებს, რომ სუკ-ში „დანაშაულებრივი გახლდათ მე-5 განყოფილების არსებობა. ეს იყო პოლიტიკური პოლიცია, რომლის ფუნქციებში შედიოდა ყველაფერ ეროვნულთან ბრძოლა. მისი შექმნა დაკავშირებული იყო 1967 წელს სუკის თავმჯდომარედ იური ანდროპოვის დანიშვნასთან. ამის შემდეგ ბევრი თანამშრომელი „დაფიქრდა თავის ყოფაზე" და წავიდა სუკიდან. მე კი ვერ შევძელი, მატერიალურად მთლიანად მასზე ვიყავი დამოკიდებული". ეჰ,ეჰ, ბ-ნო ი,ბარამიძევ, თქვენი ტოლები და კოლეგები თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტიდან მცირე ანაზღაურების საფასურად სკოლებში მასწავლებლობდნენ და როგორც იტყვიან „წელებზე ფეხს იდგამდნენ", რათა ზნეობრივ კომპრომისზე არ წასულიყვნენ და თქვენ ... ის მაინც დაგეწერათ, დალოცვილო, როგორც ნაპოლეონ გადელია გვიმტკიცებს, რომ თურმე იგი „აიძულეს დათანხმებულიყო უშიშროების ხაზით მოსკოვის 2-წლიან სასწავლებელში წასვლაზე". დიახ, ი.ბარამიძე რიხით აცხადებს თავის ინტერვიუში, რომ იგი მზად არის წარსდგეს მისი ხალხის სამსჯავროზე „როგორც მოწმე, როგორც დაზარალებული, როგორც ბრალდებული..." მაგრამ,იმავე გაზეთიდან ვგებულობთ, რომ იგი ამჟამად „თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკია". ამაზე იტყვიან: ვინ,ვინ გაგიბედავთ, ბატონო ილია, თქვენ „სამჯავროზე" გამოყვანას, როდესაც თქვენ უკვე მსჯავრიც გამოგიტანეს და დაგაწინაურეს კიდეც მოყვარეთა გულგასახარად და მტრების ასალაგმავად?! ამიტომ, დღეს გასაგებზე უფრო გასაგებია ჰიმნი და დიდება ჩვენი ჩეკისტებისა ხელისუფლების მისამართით - ი.ბარამიძე: „კაცი-იდეა"(იგულისხმება ბატონი პრეზიდენტი); ნ.გადელია: „თავგამოდებით ვიცავ ჩვენს ღირსეულ პრეზიდენტს." სამაგიეროდ, ოპოზიციის მისამართით, იგივე ი.ბარამიძე: „ჩემო „უკიდურესად პოლიტიზირებულო" დებო და ძმებო, მოდით, დავფიქრდეთ..." ნ.გადელია: „ჩვენი თვალით დავინახეთ უამრავი ბოროტება ოპოზიციის მიერ, ან მის მომხრეთა მიერ ჩადენილი... ამას დავუმატებთ, რომ ი.ბარამიძემ ერთი „გონებამახვილური" მეთოდი შემოიღო ოპოზიციის დასამცირებლად. იგი ახარისხებს მწერლებსა და ყოფილ პოლიტპატიმრებს იმჟამინდელ „დანაშაულობათა" მიხედვით და „გულუბრყვილოდ" მისთვის სასურველ პირებს მოიხსენიებს რეპრესირებულთა ან იმათ სიაში, ვის მიმართაც სუკ-ი მაშინ „დაინტერესებას იჩენდა", ხოლო მისთვის არასასურველ პირებს არც ახსენებს.

რასაკვირველია, ხარკის მოხდის მიზნით და თვალასახვევად იგი იძულებული ხდება დაასახელოს ოპოზიციაში მდგომი ზოგი პიროვნება, მაგრამ სამაგიეროდ არ ასახელებს ათეულობით პოლიტპატიმარს და ღირსეულ მწერალს, რომელნიც დღეს ოპოზიციის რიგებში დგანან. აქვე უნდა შევახსენოთ ბ-ნ ი.ბარამიძეს, რომ ეროვნული მოძრაობის ისტორიას და მითუმეტეს, ვინმესთვის მსჯავრის გამოტანას ყოფილი სუკელი ვერ შესძლებს, რადგან, ფიგურალურად თუ ვიტყვით, არ არსებობს სახარება სატანისა -ეროვნული მოძრაობის ისტორია და მისი შეფასება პირუთვნელი ისტორიკოსის საქმეა, როდესაც გაიხსნება სუკ-ის არქივები,თუ, რასაკვირველია, აქამდე ეს არქივები უკვე არ განადგურდა ან არ დამახინჯდა.

დასასრულ გვინდა ერთი რჩევა მივაწოდოთ გაზეთ „ლიტ.საქართველოსა" და „თბილისის" რედაქციებს: არ შეიძლება ყველასი და ყველაფრის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის - როგორც იტყვიან, მითხარი ვინ გაქებს შენ და გეტყვი შენ ვინა ხარ. დღეს თქვენს რედაქციებს შეიძლება ყოფილი სუკელები ეწვიონ, ხვალ ნამდვილი ჯალათები მოვლენ, ხოლო ზეგ თავად სატანა მოგაკითხავთ. ღმერთმა დაგიფაროთ!,

გოჩა ნანეიშვილი

## ჰონეკერი ჩეჩნეთში მიიწვიეს

როგორც რადიო „თავისუფლებამ" გადმოსცა, ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი მზად არის მისცეს პოლიტიკური თავშესაფარი აღმოსავლეთ გერმანიის ყოფილ ხელმძღვანელს ერიჰ ჰონეკერს და ეროვნული გვარდიის დახმარებით უზრუნველყოს მისი სრული უსაფრთხოება.

ახლა ჯერი ჰონეკერზეა — მან უნდა გადაწყვიტოს, გაემგზავრება კორეაში თუ ჩეჩნეთს აირჩევს მუდმივ საცხოვრებლად.

ცნობისათვის: ერიჰ ჰონეკერი სამშობლოდან დევნილია გერმანელი ხალხის წინაშე ჩადენილი მრავალი მძიმე დანაშაულისათვის.

## ნუ ვუკარნახებთ მწერლებს!

ძალზე გახშირდა ღია წერილები დიდი ადამინების მიმართ. დიდი და არა ცნობილი ადამიანებისა, რადგან, დღეს ბევრი გახდა ცნობილი და პოპულარული, დიდები კი, ჩვეულებრივ, კვლავ ცოტანი არიან.

რაც უფრო დიდია ადამიანი, დღეს მით უფრო ხმამაღლა უკიჟინებენ - რა უნდა აკეთოს და როგორ, რა უნდა სწამდეს და რა არა, სად უნდა იდგეს, ვის უნდა უკრავდეს ტაშს.

იქნებ სჯობდეს ვაცალოთ მათ თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება - ვისაც როგორ სწამს, ისე მოიქცეს.

ვისაც სურს, მიტინგებზე გამოხატოს თავისი აზრი, ვისაც სურს და საშუალება აქვს - პარლამენტში, ვისაც უნდა -საკუთარ თავთან და ქაღალდთან.

ჩვენ მოვუსმინოთ, წავიკითხოთ. თუ და ვეთანხმებით, ხომ კარგი. თუ არა და ნუ გავუგზავნით რეცეპტებს, როგორ უნდა მოიქცნენ და ნურც ბრალს დავდებთ იმის გამო, თუ რატომ ფიქრობენ განსხვავებულად. რა და როგორ აკეთონ, ეს მათი პროფესიული საქმეა - მათი ნიჭის, მსოფლმხედველობისა და შესაძლებლობების ზღვარზე გამავალი.

ახლახან ბატონ გურამ დოჩანაშვილისადმი გაგზავნილი ღია წერილი წავიკითხე („ლიტერატურული საქართველო", № 50,1991წელი) . გული დამწყვიტა ავტორის პოზიციამ.

საბედნიეროდ, არსებობს ბატონ გურამის შემოქმედება. არცერთ ჩვენთაგანს (არც ღია წერილის ავტორს) არ უკარნახებია მისთვის, როგორ დაეწერა თავისი ნაწარმოებები. და ამის მიუხედავად, ვფიქრობ, ერთი დიდი მწერლის პირობაზე (ჩვენი კარნახის გარეშეც) შესანიშნავად გაართვა თავი საქმეს.

იქნებ სჯობდეს, ასევე ვაცალოთ შემდეგშიც.

ვფიქრობ, არაფერია უცნაური და საგანგაშო იმაში, რომ შემოქმედი ზუსტად ჩვენსავით არ აღიქვამდეს და აფასებდეს მოვლენებს, სიძულვილით კი არა (როგორც ეს შეიძლება მისი პროზის მოყვარულ ავტორს მიაჩნდეს), სიყვარულით (არა პიროვნების,არამედ სამშობლოსი) იღებდეს გადაწყვეტილებებს და იმ ხალხის ამბავიც ჩვენზე უკეთ მოეხსენებოდეს, რომლებთან ერთადაც რაიმე დოკუმენტზე ხელის მოწერას წყვეტს.

ღია წერილის ავტორი თვლის, რომ მას და ქართველთა უმრავლესობას ჰყავს თავისი მენდეს მასიელი. მაგრამ, თუ „სამოსელი პირველის" მკითხველებს განსხვავებული მენდეს მასიელი და ზე მორიერა, ან განსხვავებული კერპი - მოლოქე და მარშალი ბეტანკურიც ეყოლებათ, ეს ბატონ გურამის ბრალია არაა. ჩვენ ხომ ისე ვიგებთ მის შემოქმედებას, როგორც შეგვიძლია.

მკრეხელობად მიმაჩნია ბატონ გურამის გაიგივება თავის გმირებთან. ის არც პრუდენსიოა, არც ზე მორიერა და არც რომელიმე დიდი კანუდოსელი იმ ხუთთაგან. ის უფრო მეტიაკანუდოსელების სულიერი მამა.

იქნებ სჯობდეს, ვიყოთ უფრო მოკრძალებულნი შემოქმედთა და საერთოდ, ადამიანთა სულებში ხელის ფათურის დროს. ნუ დავიწყებთ იქ სიყვარულის დამჭკნარი ყვავილების ძებნას.

ჩვენ არ ვიცით, ვისი კაქტუსი როგორ ყვავის.

და საერთოდ, გთხოვთ, ნუ ვუკარნახებთ მწერლებს.

ნაირა ცხვედიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გეპატიჟებით 20 დეკემბერს, 15 საათზე

თანამემამულენო!

სამოქალაქო მოძრაობა „დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო" მეორე თვეა შეიქმნა, მაგრამ მას დღემდე არ ეძლევა საშუალება მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოების ფართო ფენებს მოძრაობის მიზნებსა და ამოცანებზე. ხელისუფლების უკანონო მოქმედებათა გამო, მონოპოლიზებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებები-ოფიციალური პრესა, რადიო, ტელევიზია, რის შედეგადაც მოსახლეობა აბსოლუტურად ცალმხრივად არის ინფორმირებული რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ასეთი ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში კი ოფიციალური ხელისუფლება აჩქარებული ტემპებით ქმნის მართვის ავტორიტარულ რეჟიმს, რაც საფუძველი გახდება საქართველოს იზოლაციისა მსოფლიო მაღალგანვითარებული და ცივილიზებული ქვეყნებისაგან.

ასეთ პირობებში ჩვენ ხალხის ინფორმირებისათვის გვეხმარება მხოლოდ ერთი საშუალება — მიტინგი.

1991 წლის 20 დეკემბერს 15 საათზე რესპუბლიკის მოედანზე სამოქალაქო მოძრაობის „დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს" საბჭო მართავს მიტინგს.

მიტინგზე სახალხოდ, საჯაროდ გამოცხადდება სამოქალაქო მოძრაობის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, შეფასება მიეცემა აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბრის მოვლენებს, მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციას, მიტინგის მონაწილეებს საშუალება მიეცემათ გაეცნონ სამოქალაქო მოძრაობის დამოკიდებულებას საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებისადმი. მიტინგზე სიტყვებით გამოვლენ: პროფ. ნოდარ ლომოური, ოთარ მელვინეთუხუცესი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ივლიანე ხაინდრავა, ლანა ღოღობერიძე, ელდარ შენგელაია, ირაკლი მელაშვილი, რომან გოცირიძე, ნოდარ ნათაძე, ავთანდილ იმნაძე, ზურაბ ჟვანია, ირაკლი სურგულაძე და სხვ. იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლება ადგას ყოველგვარი ოპოზიციური მოძრაობისა და პარტიის დისკრედიტაციის გზას, არასწორად აწვდის მოსახლეობას ინფორმაციას მათი საქმიანობის შესახებ, — სამოქალაქო მოძრაობის საბჭო თხოვს რესპუბლიკის ყველა რანგის ხელმძღვანელს დაესწროს მიტინგს, რათა უშუალოდ პირველი წყაროსაგან მიიღოს ინფორმაცია.

მიტინგი რესპუბლიკის მოედანზე გაგრძელდება ორ საათს, რის შემდეგაც კინოს სახლში ჟურნალისტებისათვის მოეწყობა პრეს-კონფერენცია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოფიციალური ხელისუფლება გაგებით შეხვდება წინადადებას რომ როგორც მიტინგი, ასევე პრეს-კონფერენცია ყოველგვარი მონტაჟის გარეშე იქნეს გადაცემული საქართველოს ტელევიზიით.

გთხოვთ, მობრძანდეთ მიტინგზე!

სამოქალაქო მოძრაობის „დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო" კოორდინატორთა კომიტეტი.

# ვიწყებ შიმშილობას, რომელიც ან სამართლიანობის აღდგენით დასრულდება, ან ჩემი სიკვდილით

(განცხადება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს)

1991 წლის 16 სექტემბერს, ღამით, ვანდალური ფორმებით (ჩემი და სხვა ადამიანების სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით) მოხდა ჩემი უკანონოდ დაპატიმრება.

ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ სასამართლო პროცესი არ შემდგარიყო, რამეთუ იქ ცხადი გახდებოდა „ბრალდების" აბსურდულობა და დადასტურდებოდა ის ჭეშმარიტება, რომ მე პოლიტიკური მოსაზრების გამო დამაპატიმრეს (აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ 3 თვის განმავლობაში ჩემი ფიზიკური მოსპობის რამოდენიმე მცდელობას ჰქონდა ადგილი).

ჩემი და ჩემი მეგობრების ბრძოლამ ის შედეგი გამოიღო, რომ პროცესი დაიწყო, და მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სხდომა ჯერ სუკ-ის იზოლატორში გაიმართა, ხოლო მისი დასრულების მცდელობას ე.წ. „კრიტში" (ორთაჭალის ციხეში) ჰქონდა ადგილი, პროცესმა მთლიანად დაადასტურა ჩემი უდანაშაულობა.

ამჟამად განაჩენის გამოტანა (?!) გადაიდო „ძაურკვეველი" დროით, რამეთუ ხელისუფლებას კვლავ დროის მოგება სურს: ყოვლად აღმაშფოთებელი, საარაკო და თვით კომუნისტებისათვისაც „შეუფერებელი" ე.წ. საქმის ბაზაზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ყველაზე უსინდისო სასამართლოს შესაძლებლობებსაც აღემატება.

მე მოვითხოვ ჩემდამი აღკვეთის ღონისძიების შეცვლას და ჩემი, ისევე როგორც ყველა სხვა პოლიტპატიმრის, დაუყოვნებლივ გათავისუფლებას.

ამ მოთხოვნით მე 1991 წლის 23 დეკემბრიდან ვიწყებ მშრალ შიმშილობას, რომელიც ან სამართლიანობის აღდგენით დასრულდება, ან ჩემი სიკვდილით, რაც ჩემს ბედს ქვეშ მყოფ ძმებს ხვედრს შეუმსუბუქებს და მათი გათავისუფლების პროცესს დააჩქარებს.

# ამერიკელი სტუმრები საქართველოში

5 დეკემბერს, საქართველოს სტუმრად ეწვივნენ მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პირველი მდივანი ბატონი რანდელ დეკოჯი და ამავე საელჩოს მეორე მდივანი ქალბატონი ანი ბრეიტეტრი.

ამერიკელი სტუმრებისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრთა შეხვედრის შესახებ საუბარი ვთხოვეთ ამავე კომიტეტის წევრს, ბატონ ირაკლი ქადაგიშვილს.

— დიდი ხნის ნაცნობობა გვაკავშირებს ქალბატონ ანი ბრაინერთან და ბატონ რანდელ დეკოჯთან. ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ, ქალბატონი ანი თავად დაგვიკავშირდა. სასტუმრო „თბილისის" (სადაც დიპლომატები იყვნენ გაჩერებულნი) ადმინისტრაციის მცდელობა, ჩაშლილიყო ჩვენი შეხვედრა, უშედეგოდ დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებისათვის ჩამოსული პოლიტიკოსების, დიპლომატების, ჟურნალისტების „დამალვის" ეს ფაქტი პირველი არ გახლავთ.

— ბატონო ირაკლი, რით შემოიფარგლებოდა ამერიკის საელჩოს წარმომადგენელთა ფუნქციები?

— ამ რანგის დიპლომატების ფუნქციები არ ითვალისწინებს საქართველოს აღიარების, ან არ აღიარების შესახებ მოლაპარაკების გამართვას, რაიმე კონკრეტული რჩევის მოცემას. მათი ძირითადი მოვალეობაა, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით მრავალმხრივი ინფორმაციის შეგროვება. მოგეხსენებათ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დაინტერესებულია ყოფილ საბჭოთა იმპერიაში მიმდინარე პროცესებით და ცდილობს მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია ყველა რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს შესახებ.

— გასაგებია, რომ მათი მოვალეობა მდგომარეობის შესახებ დასკვნების გაკეთებას არ ითვალისწინებს, მაგრამ ხომ გააჩნიათ საკუთარი პოზიცია?

— ჩვენთან საუბრის დროს მათ კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ბეიკერის ცნობილი ხუთი პრინციპი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ამერიკის პოლიტიკის ქვაკუთხედად რჩება. იგი გულისხმობს ერთა მშვიდობიანი თვითგამორკვევის უფლებას, არსებული შიდა და გარე საზღვრების დაცვასა და პატივისცემას, ქვეყნის შიგნით პროცესების დემოკრატიული გზით განვითარების აუცილებლობას, ადამიანისა და ყველა ეთნიკური უმცირესობის უფლებათა განუხრელ დაცვას, ჰელსინკის შემაჯამებელი აქტის, პარიზის ქარტიისა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების პრინციპების განხორციელებას. ამ პრიციპების გარდა, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული სხვადასხვა ტიპისა და კლასის ატომური შეიარაღების კონტროლი.

ჩვენთან საუბრის დროს, ისინი შეშფოთებას გამოხატავდნენ საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, კერძოდ, დემოკრატიული პრინციპების სრული უგულვებელყოფისა და პოლიტპატიმართა ბედის გამო.

— ბატონო ირაკლი, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ოპოზიციის წარმოადგენელთ ერთ-ერთ ბრალდებად გიყენებთ იმას, რომ თქვენს მიერ საზღვარგარეთ გატანილი ინფორმაცია ხელს უშლის საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას...

— თავს ნუ ვიტყუებთ. მიმდინარე მოვლენების მსგავსი პროცესების დამალვა ჩაკეტილ სახელმწიფოშიც კი შეუძლებელია. ჩვენ მსოფლიოს უნდა დავანახოთ, ქართველი ერი არ არის ვიწრო, ტოტალიტარული აზროვნების ერი, ქართული აზროვნება მრავალფეროვანია. ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობის მიუხედავად დღევანდელ საქართველოში განსხვავებული აზრი სამოცდაათი წლის განმავლობაში დამკვიდრებული სტერეოტიპების ნგრევისა და იმ ფასეულობათა აღორძინების მაჩვენებელია, რომელიც მუდამ გააჩნდა უძველესი კულტურისა და ისტორიის ქართველ ერს.

ესაუბრა
თამრიკო მოლაშვილი

# ბატონ ვალერი კვარაცხელიას!

13 დეკემბერს, გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნდა ბატონ ვალერი კვარაცხელიას წერილი „ქალბატონ ია მუხრანელ-ბაგრატიონს!" პირადად მე ეპისტოლარული ჟანრის მოყვარული არა ვარ, გაზეთებში პაექრობას უშუალო საუბარი და კონკრეტული საქმე მირჩევნია. მაგრამ ვინაიდან ეს ჟანრი აირჩია კოლეგამ, იძულებული ვარ მეც ასეთივე ხერხს მივმართო.

ვ. კვარაცხელია მკითხველს წყენით აუწყებს, თითქოს მე იგი აუგად მოვიხსენიე ჩვენს სატელევიზიო გადაცემაში და ფირზე აღბეჭდილი მისი პრეს-კონფერენცია, რომელიც მოსკოვში ჩატარდა, არ ვაჩვენეთ ტელემაყურებლებს, ვინაიდან ის, თითქოს, ხელისუფლებას ხელს აძლევდა. ბატონ ვალერის ყურადღება უნდა მივაქციო იმ ფაქტს, რომ ჩვენი გადაცემის მიზანი და დედააზრი იყო სანკტ-პეტერბურგში მოგზაურობის და გაზეთ „სვობოდნაია გრუზია-ს" პრეზენტაცია მოსკოვის კულტურულ ცენტრში „მზიურში", ინფორმაციული ბლოკადის გარღვევა, შეხვედრები ჟურნალისტებთან, პოლიტიკოსებთან, კულტურის მოღვაწეებთან და არა მისი კონფერენციის ასახვა.

ჩვენი ოთხსაათიანი ფირი დამონტაჟდა და შეიკვეცა თითქმის ერთი თვის შემდეგ, რადგანაც უზენაესი საბჭოსთან არსებული ტელეჟურნალისტების ჯგუფი ურთულეს პირობებში მუშაობს ერთ სამონტაჟო მაგიდასთან. რა სიტუაციაში დატოვეთ ბატონო ვალერი ტელედეპარტამენტის შენობა, კარგად არის ცნობილი, როდესაც ჩვენ გავიგეთ, რომ პეტროვკა 22-ში თქვენ მართავთ პრესკონფერენციას ქართველი ჟურნალისტებისათვის, ჩვენ დავესწარით შეხვედრას და კითხვებითაც მოგმართეთ. ამაზე საუბრობდნენ ბატონები ვარლამ ნიკოლაძე და გიორგი შენგელია. მათ ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ თქვენთან მოსული ჟურნალისტები — ფოფხაძე, ფურცხვანიძე, მიქაძე, თაეხელიძე და თითოოროლა რუსი არ წარმოადგენდნენ ჟურნალისტიკის ნაღებს. გარდა ამისა საუბარი მოსკოვსა და არა თბილისში. ქება-დიდება შევარდნაძის, როგორც დემოკრატისა, მათი აზრით გამართლებული არ იყო. მე კი მოსკოვშიდაც გითხარით და ახლაც ვიმეორებ, რომ თქვენ ნიჭიერ ქართველ ჟურნალისტად მიგიჩნევთ და, არა მგონია, რომ იმპერიის დედაქალაქი დახმარებას აღმოგიჩენდეთ. რაც შეეხება პარტიის ხელმძღვანელობას, რომელშიდაც, როგორც თქვენ ბრძანეთ — 200 წევრია, ჩემს წინასიტყვაში, რომელიც დაემატა კოლეგების ნათქვამს, თქვენთან და ჩოჩიევთან შეხვედრების შედეგად ხაზგასმით იყო აღნიშნული მხოლოდ ერთი პოსტულატი — ქართველი ჟურნალისტის ერთადერთი პარტია უნდა იყოს საქართველო.

ბატონო ვალერი! ჩაიხედეთ თქვენს გულში [illegible] ახსენეთ თქვენი პრესკონფერენცია. თქვენ ხომ ფაქტიურად ვერ გაეცით პასუხი კითხვას, თუ რატომ იდექით შეიარაღებულ ხალხთან, როგორ ხელმძღვანელობთ თქვენს მიერ შექმნილ დემოკრატიულ პარტიას, როგორ შესდგა პარტოკრატიის, დემოკრატიის, ოპოზიციის ალიანსი და ა.შ.

დაბოლოს, ორი სიტყვა თქვენი პასაჟის გამო „უნებლიე ბოროტების" შესახებ.

მე არასდროს ვყოფილვარ და არ ვიქნები არც პიროვნების, არც პარტიის იარაღი. დევნილიც, უმუშევარიც ვიყავი, პარტბილეთიც დავაგდე მაშინ, როდესაც იმპერია ძლიერი იყო და ჩვენი კოლეგები მშვიდად ქადაგებდნენ ეკრანიდან. ჩემი პერსონით არავინ შემიწუხებია, არც გაფიცვა მომიწყვია, რადგან მჯეროდა და მჯერა, რომ ჟურნალისტის იარაღი-კალამი და აზრიანი სიტყვაა საქართველოს სასიკეთოდ.

პატივისცემით
ია ბაგრატიონ-მუხრანელი

# ალტერნატივის წინაშე

დღეს თავი და თავი ქართველთა ორად გახლეჩისა და ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებისა არის ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებთან პირდაპირ და საჯაროდ დიალოგის სურვილის უქონლობა. ამასთან ოპოზიციის მიმართ აღვირი აქვს ფიზიკურ ძალადობას. გავიხსენოთ 2 სექტემბრის, 21 სექტემბრის, 4-5 ოქტომბრის ამბები.

ხელისუფლება საჯაროდ, პატიოსნად, საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვით რომ აწარმოებდეს თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ამაზრზენი დანაშაულის კვლევა-ძიებას, მაშინ არ იქნებოდა მის მიმართ ასეთი უნდობლობა და დაპირისპირება. არც ოპოზიციაში აღმოჩნდებოდნენ მმართველი ბლოკის ის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებმაც ხელისუფლების ანტიდემოკრატიული კურსის წინააღმდეგ გამოსვლა აჰჯობინეს თანამდებობებზე მშვიდობიან ჯდომას და პრივილეგიებს, რაც მათი მხრიდან უდაოდ ზნეობრივი ნაბიჯია.

მომხდარი მოვლენების პატიოსნად და დაუფარავად კვლევა-ძიებამ შესაძლოა ხელისუფლების რეიტინგი კიდევ უფრო დასცეს ძირს, მაგრამ თუ მმართველ ბლოკს სურს დამღუპველი დაპირისპირების აღმოფხვრა და მის მიმართ უნდობლობის გაფანტვა, ამისათვის საჭიროა ოპოზიციაში არა მტრის სახის დანახვა, მითუმეტეს, მისი მოკვეთის მიზნით ხალხის თვალში მტრის ხატის შექმნის მცდელობა, რასაც საბედნიეროდ უკანასკნელ ხანს დიდი შედეგი არა აქვს, არამედ მასში თანასწორი პარტნიორის აღიარება. ამგვარი მიდგომის ერთ-ერთი გამოხატულება იქნებოდა პრესის და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის სასწრაფოდ ამოქმედება. მისი უგულვებელყოფა პრემიერ-მინისტრის მიერ შემოთავაზებული ილუზიური დაპირებების საფუძველზე, რომლებიც ახალი სატელევიზიო არხებისა და პროგრამების შექმნას ეხებოდა, უბრალოდ თავის მოტყუებაა.

ხელისუფლება თუ ფიქრობს, რომ მართალი ინფორმაციის შეზღუდვით და პრესა, რადიო-ტელევიზიის საშუალებით ხალხის მასირებული იდეოლოგიური დამუშავებით შესძლებს ოპოზიციის იზოლაციაში მოქცევას და განადგურებას, რაც სამწუხაროდ ხელისუფალთა მხრიდან ბევრჯერ განცხადდა, ძალიან ცდება და დიდ ცოდვასაც იდებს კისერზე იმ უპასუხისმგებლო ადამიანებთან ერთად, რომლებიც მოუწოდებენ ხელისუფლებას რეპრესიებისა და მეტი სიმკაცრისაკენ. ამიტომ რადიო-ტელევიზიის ოპოზიციური აზრისათვის ჩაკეტვას ხელისუფლებისათვის სასარგებლო შედეგები არ მოჰყვება და არც სიცრუის გზით სიარულს აქვს საქართველოში პერსპექტივა.

ამგვარად, დღეს ხელისუფლება ალტერნატივის წინაშე დგას. ან საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა ნორმების დაცვით წარმართოს თავისი პოლიტიკა, რაც ჭეშმარიტების დადგენის, საქართველოს კეთილდღეობისა და ქართველთა ერთიანობის საფუძველი გახდება, ან არადა, ძალაუფლების შენარჩუნების წყურვილით ავტორიტარულ-ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცების გზას დაადგეს, რაც უთუოდ ახალი მსხვერპლისა და ტრაგედიების მომტანი იქნება, რომლის ავტორებსაც და განმხორციელებსაც ბოროტების დაფნის გვირგვინებს დაადგამს ისტორია.

გია თვალავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელიდან გვეცლება ქვეყანა!... იმედი? იმედი ახალგაზრდობაა!...

## (ინტერვიუ ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანთან)



**—მოდით, დავიწყოთ იქედან, რომ თქვენ სამოცი წლის გახდით, სამოცი წელი ბევრია თუ ცოტა? თქვენ როგორ შეხვდით 60 წელს, სევდითა და ჭმუნვით თუ ვაჟკაცურად? თავს როგორ გრძნობთ?**

—იმ დიდი წიგნიდან მოგახსენებთ: „განა არ მიტირია ბედშავზე? განა არ მიწუხნია გაჭირვებულზე? ჰოდა, სიკეთეს ველოდი და ბოროტება მოვიდა, ნათელს ვთესავდი და ბნელი მოვიდა. მოთქმად იქცა ჩემი ქნარი და მოტირალთა ხმად ჩემი სალამური!"

ისე, რა მიჭირს, რომ გითხრათ დავბერდი-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ არც ახალგაზრდა ვარ.

**—ახლა, ხშირად გაიგონებთ, „ბარიკადს იქეთ, ბარიკადს აქეთ", რას ნიშნავს ამ პატარა საქართველოში თქვენთვის ბარიკადები, ვინ მოიგონა იგი და თქვენ სით დგახართ...**

—პირველი ბარიკადი, ჩემის აზრით, უზენაესი საბჭოს წინ მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩნდა, „კარავიბარიკადი". კარვის ხალხი დიდ პატივშია. იქ სითბოა და მთავრობის ტელეფონი. ამ კარვებიდან დარეკილ ტელეფონის ზარებს ბევრი ოჯახი აუწიოკებია. კარვებს ავტობუსთა ბარიკადებიც შემოარტყეს. შემდეგ აქეთ ააგეს ბარიკადი, ვისაც ამ ბარიკადის აგება დაბრალდა, დღეს ციხეშია. იგი, რა თქმა უნდა პოლიტპატიმარი გახლავთ და არა კაცი, რომელმაც დაარღვია ქალაქის მშვიდი ცხოვრება. ამავე დროს, იგი გმირია 9 აპრილისა, მისი გვარი და სახელი გიორგი ჭანტურიაა. იქედან აქეთ ისვრიან ხოლმე თან გულიანად დასძახიან: „მიჯრით ესროლეთო".

ამასთან დაკავშირებით მე მახსენდება ბლეზ პასკალის „აზრებიდან": „რატომ მკლავთ კაცო? — როგორ თუ რატომ? შენ ხომ წყალგაღმა ცხოვრობ. შენ რომ გამოღმა ცხოვრობდე, ჩემო კეთილო, მე მართლაც მკვლელი ვიქნებოდი და შენი მოკვლა ბოროტმოქმედებად ჩამეთვლებოდა, მაგრამ რაკი წყალგაღმა ცხოვრობ, ჩემი საქმე სამართლიანია და მე გმირი ვარ".

გმირები არიან...

**—დღეს იშვიათად გადაშლით გაზეთს, სადაც თქვენ არ გლანძღავდნენ და შეურაცხყოფას არ გაყენებდნენ. შეგვშვათ „კრემლის აგენტისა" და „მოღალატის" იარლიყებს, იმასაც, რომ „კრიმინალური ინტელიგენციის" წარმომადგენელი ხართ. ხან თოფი ჩამოგკიდეს მხარზე და ისე დაგაყენეს ტელევიზიის შენობასთან, მერე თქვეს „ახალგაზრდებს ბენზინით სავსე ბოთლებს ურიგებდაო". ისიც თქვეს „მისი დაბადების დღეს თენგიზ კიტოვანმა ზოოპარკში ხოხბები დახოცა და მიართვაო" მოკლედ, ყველაფერი სიბინძურე ითქვა. ბოლოს ბერიაშვილმა თავის გაზეთში ყველაფერს გადააჭარბა, არ დაგიტოვეს გაულანძღავი ოჯახის წევრი, ნათესავი... შევიტყვეთ, რომ კონკრეტულად ამ უზნეო პასკვილების ავტორის გამო საჩივრის შეტანას აპირებთ სასამართლოში, რამდენად მართალია და საერთოდ აპირებთ თუ არა პასუხი გასცეთ რომელიმე მათგანს?**

—დიახ, ადრეც უტკენიათ გული, მაგრამ ამ ერთმა წელმა კულმინაციას მიაღწია. გახსოვთ, ალბათ, დოიაშვილის წერილი „ლიტერატურულ საქართველოში". იგი ჩემს პოეზიას აქიაქებდა, წერილში მეჩვენება, რომ ბევრი რამ თითქმის გადმოწერილია ზვიად გამსახურდიას წერილიდან, რომელიც „წერილებში და ესსეებში" დაიბეჭდა, დიახ, მაგალითებისა და იარლიყების მიხედვით არავითარი განსხვავება არ გახლავთ. მე დოიაშვილს პასუხი გავეცი...

ნელ-ნელა მივყვები: გამლანძღა ერთმა ქალბატონმა, ბიოლოგმა (რომელსაც ჩემი თამადობა არ მოსწონს, ბევრი სხვა რამეც), მისი გვარია მოსულიშვილი-ცინცაძე, მე წამსვე დამირეკეს ტელეფონით და მითხრეს ვინც არის მოსულიშვილი-ცინცაძე (ეტყობა მასაც ბევრი მტერი ჰყავს). მე რომ მოსულიშვილი-ცინცაძისათვის მეპასუხნა, ვაი თუ მისთვის და მისი ოჯახისათვის უდიდესი ტკივილი მიმეყენებინა. ხანდახან უზნეობაზეც კი ლაპარაკი არაზნეობრივია, ამიტომ თავი შევიკავე, (ჩემს სათქმელს თავად მიხვდება), საერთოდ, ეტყობა, როცა სხვისი გულის მოკვლა გინდა, შენს გულში უნდა ჩაიხედო, იქნებ შეჩერდე და თავი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიგდო. ამას მოჰყვა ვინმე მუსელიანის მიკრობიოლოგიური სიძულვილით სავსე წერილი გურამ ფანჯიკიძისადმი, სადაც ჩემზეც იყო შხამით ნათქვამი, რომ თურმე, მაიაკოვსკის საკავშირო დღეები საქართველოში ჩემი დამკვიდრებული იყოს და მაშინ სად იყავით, როცა აკაკი და გალაკტიონი მივიწყებული იყოო. ჯერ ერთი, ქალბატონმა მიკრობიოლოგმა მთელი ქუთაისის სახელით არ უნდა ილაპარაკოს, მეორე, ქალბატონმა მიკრობიოლოგმა არ იცის, რომ უმისოდ ბევრი რამ ხდებოდა საქართველოში. უმისოდ ტარდებოდა საქრთველოში ყოველ წელს აკაკისა და ილიას დღეები, საბაობა, ჯავახიშვილობა, ვაჟაობა, გოგებაშვილობა, გალაკტიონობა, გოგლაობა, ლადოობა, მირზაობა. სამწუხაროდ, არც მე და არც ბატონ გურამს არ მოგვიგონია ეს დაბადების დღეები, ჩვენ გულმხურვალე მონაწილეობას ვიღებდით ამ დღესასწაულებზე...(არაფერს ვიტყვი დიდი რუსთველის დღესასწაულებზე).

ერთიც მინდა აღვნიშნო, ქალბატონი მიკრობიოლოგი მაიაკოვსკის იცნობს სკოლაში ნასწავლი ლენინისადმი მიძღვნილი ლექსით და არ იცის, რა შესანიშნავი რუსი პოეტი იყო იგი, როგორი მოქართულე და პატივისმცემელი ქართველი ხალხისა, ტყუილად ხომ არა ამბობდა: „ვალი მაქვს შენი ბაღდათის ზეცავ, ვალი, მარადჟამს გარდაუხდელი" ან კიდევ: „მე ქართველი ვარ, დიახ, ქართველი".

არც ისაა ჩემი მოგონილი, როცა მთელი უკრაინა დიდ დავით გურამიშვილს ზუბოვკაში თუ მირგოროდში ყოველ წელს უხდიდა დაბადების დღეს და მსოფლიოს ყველა კუთხიდან ხალხი ჩამოჰყავდა. სურამში ლესია უკრაინკას დღეებს ზეიმობდნენ. ახირებაა, თორემ მართლა რა მიკრობიოლოგიური სიძულვილი უნდა გქონდეს, რომ ასე საქმეში ჩაუხედავად ყველაფერში ცხვირი ჩაჰყო? ხომ არ სჯობდა, სანამ ვინმეს შეურაცხყოფდე, მანამ შენი საქმისათვის მიგეხედა. ქალბატონმა მიკრობიოლოგმა უნდა იცოდეს ასეთი შხამიანი პასკვილებით ვერც ლიტერატურაში რჩებიან და ვერც საზოგადოებაში, კარავში კი...

პირველ ნოემბერს ჩემთვის საინტერესო და საყვარელ გაზეთ „დრონში" ვინმე ანონიმი რედაქციისადმი მიწერილ საჩივარში გულიანად ამბობს: „ნეტა სტალინი ცოცხალი იყოს ჯანსუღ ჩარკვიანისნაირ „ინტელიგენტებს" დახვრეტდაო. ბატონ ანონიმს ვეუბნები: პატივცემულო ბაღჩო, (სახელი პირობითია), ჩემს დახვრეტას რად უნდა სტალინი? რისთვის აწუხებთ უდიდესი დიქტატორის სულს? განა დღეს ვერ დამხვრეტენ? რა, თქვენ და თქვენისთანებს რომ შემოგთავაზონ ჩემი და ჩემნაირების დახვრეტა, ხელი აგიკანკალდებათ? სტალინი ხომ თავად არ ხვრეტდა ადამიანებს? მოკლედ, ნუ მკითხავთ, რაც ამ ერთი წლის მანძილზე ჩემს 60 წელთან დაკავშირებით პასკვილი დაიწერა, ერთი მოზრდილი ტომი მაინც გამოვა, ხელისუფლების მიერ გამომცემლობის დირექტორობიდანაც რომ გამოგდებული არ ვიყო, სიამოვნებით გამოვცემდი ამ ჩემს სალანძღავ წერილებს ერთ ტომად. ჩემს ლანძღვაში ყველამ რაღაც მიიღო: ზოგმა მინისტრობა, ზოგმა რედაქტორობა. ნუ მიწყენენ ოპონენტები და ამნაირმა ტალახიანმა წერილებმა ვერაფერი დამაკლო, მე მგონი პირიქით მოხდა. ასე რომ ყველაფერს საზღვარი აქვს, მეტისმეტი არც ლანძღვავარგა თურმე...

ხანდახან ჩამოთვლილ მწერალთა შორის აღმოვჩნდები ხოლმე გაკენწლილი. ამასწინანდელ „ლიტერატურულ საქართველოს" ფურცლებიდან ცინიკურად გვეუბნებიან: რაში შეგავიწროვეთ, ვის ჩამოვართვით „სოციალისტური შრომის გმირის" წოდება და „კომკავშირის ლაურეატობაო". სწორი ბრძანდებით, ბატონებო, მადლობის მეტი რა ეთქმით სოციალისტური შრომის გმირებს ირაკლი აბაშიძესა და გრიგოლ აბაშიძეს, მაგრამ პრემიათა არჩამომრთმევსა და დამმადლებელ კაცს მინდა შევახსენო: არც მისთვის ჩამოურთმევიათ შრომის წითელი დროშის ორდენი და საპატიო ნიშნის ორდენი (знак почета ) საერთოდ, ბევრი რამ. ასე რომ, იმას კი არ უნდა ვჩხრეკდეთ, კაცმა თავის კარგ შემოქმედებაში რომელი ცუდი ჯილდო მიიღო, არამედ უნდა ვიყოთ იმის ფიქრში, ერთმანეთი არ გავწიროთ. ის რაც კალმით იწერება და იბეჭდება, ნაჯახითაც ვეღარ ამოჭრი. ნუ გავწირავთ ერთმანეთს, ასე სჯობს...

თქვენ თავში იმაზე მკითხეთ, ვჩივი თუ არა ამ ათასი ფუთი თავსლაფის გამო...

ამასწინათ, ერთმა თელაველმა ქალბატონმა დამირეკა, რატომ უთმენთ ამდენს ამორალურ და არაკაც ალბერტ ბეროიანს (აი,კიდე ახალი შარი), რომელმაც ჩვენ ცალკე გაგვამწარა, თქვენ კიდე რა დღეში გაგდებთო. მართალი გითხრათ, მე მთლად კარგად არ ვიცი ვინაა ეს ალბერტ ბეროიანი, რაც შეეხება ბერდია ბერიაშვილს, ერთი გაფიქრება მართლა გავიფიქრე ვუჩივლებ და ამით მოვრჩები ყველაფერს-მეთქი, მაგრამ წავიკითხე რა „საქართველოს რესპუბლიკაში", ვინმე ცირეკიძის წერილი და შევიტყვე, თუ რას უშვებიან ციხეებში ბერიაშვილისნაირ ხალხს, გადავწყვიტე აღარ მეჩივლა. ბევრი დაკონკრეტებას მომთხოვს, განა ისეთს რას უშვებიანო, ასე შეიძლება გაიფიქროს თავად ბერიაშვილმაც, ამიტომ დავაკონკრეტებ ჩემს ნათქვამს: რას უშვებიან, და კლავენ, ანუ როგორც კახეთში იტყვიან „კლამენ", დიახ, ასეა ეს... ახლა გავიხსენოთ მათეს სახარებიდან: „ხოლო მე გეუბნებით თქვენ: გიყვარდეთ თქვენი მტერნი, დალოცეთ თქვენი მაწყევარნი, კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავ მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის".

გამოგიტყდებით, ჩემი შეურაცხმყოფელისათვის სანთელი არასოდეს დამინთია და არ მილოცნია, მაგრამ ერთი კია, გადამხდელი კაცი არა ვარ, ღმერთმა შეუნდოს მეთქი, ყოველთვის მითქვამს. ვერაფერი გამართლება აქვს ჩემს მოქმედებას, იქნებ, ჩემი ქცევა უფრო წარმართობადაც ჩაითვალოს, მაგრამ იმ იმედით ვცხოვრობ, რომ სრულქმნილი მხოლოდ მამა-ზეციერია.

**—გეტყობათ, რომ მაინც ნაწყენი ხართ, ღმერთმა ქმნას მტყუანმა მოინანიოს. ამდენი ცუდის გახსენების შემდეგ, თუ ხასიათი გაქვთ, იქნებ გვითხრათ, თქვენ რით ამართლებთ ოპოზიციის პოზიციას?**

—საქმე სხვანაირად წარიმართა. დავიწყოთ იმით, რომ ნორმალური კაცი მე ვერ დამაბრალებს, რომ ერთ-ერთი პირველი არ ჩავერთე ეროვნულ მოძრაობაში. დღეს ისე მოხდა, თუ ოფიციოზს ყველაფერში არ ეთანხმები, უბრალოდ არ სჭირდები, შენი განსხვავებული აზრი არავის სჭირდება. ხელიდან გვეცლება ქვეყანა და მაინც შეუპოვრად გავყვირით: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო". რომ ვერ აღმოვჩნდით ყველაზე კარგები? რა არის კარგობა? ის, რომ კერპთაყვანისმცემლებად დავრჩით? ნუთუ ის, ერთმანეთს რომ ვკლავთ და თუ ცოცხალი გადაგვირჩა, მის დაჭერა-დახვრეტას მოვითხოვთ? ესეც ოპოზიციის ბრალია? სად ნახეთ ოპოზიციონერი, რომელიც კაცის დაჭერას მოითხოვდეს? პირიქით, ოპოზიციონერი ებრძვის დამსმენსა და დამჭერს. გახსოვთ ალბათ, ერთერთ სესიაზე მწერლის ოჯახში გაზრდილმა ქალბატონმა თუშმალიშვილმა რამდენიმე კაცის იზოლირება მოითხოვა, (მადლობას მოვახსენებ ქალბატონ მედუნის), სესიის დიდი ნაწილი ტაშის გრიალით შეხვდა, მათ შორის ისინიც, ვინც 9 აპრილის წინა დღეს ჩატარებულ აქტივის კრებაზე ტაშს უკრავდა ეროვნული მოძრაობის ლიდერთა დაჭერას.

ერთ შეხვედრაზე, ჩვენს მეგობარსა და ჭეშმარიტ ქართველ მწერალს ნოდარ დუმბაძეს თავსლაფი დაასხეს, საფლავი შეუბღალეს, იქ დამსწრეთაგან ინტელიგენციის ერთი წარმომადგენელი არ წამომდგარა (მწერლებიც ესწრებოდნენ და სიტყვა არ დაუძრავთ). ნუთუ ყველანი, ვინც იქ იყვნენ, ასე ერთსულოვნად გამოხატავდნენ ჩვენგან უდროოდ წასული მწერლისადმი სიძულვილს? ოპოზიცია ებრძვის უხამსობას, უზნეობას, საჭიროა ოპოზიცია, აუცილებელია იგი. ისიც უნდა ითქვას, ოპოზიცია პირველად მრგვალ მაგიდაში და თავად უზენაეს საბჭოში გაჩნდა.

უნდა გვახსოვდეს, საქართველოს მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებენ, თუ იგი დემოკრატიული გახდება, ამიტომ უნდა დაცარიელდეს ციხე პოლიტპატიმრებისაგან. არ შემიძლია ცალკე არ შევჩერდე 1991 წლის 5 ნოემბრის გამო, ეს იყო სამარცხვინო დღე, ანუ ძმათა დასასჯელად შეყრილ დამსჯელ კაცთა თავყრილობის დღე. საქართველოს პრეზიდენტმა კრიმინალური და ქურდული უწოდა საზოგადოებას, რომლის ჭეშმარიტი წარმომადგენელიც მამამისი, ბატონი კონსტანტინე გამსახურდია იყო.

ხუთმა ნოემბერმა კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა დამჭერ-დამბეზღებლები და კიდევ ერთხელ გაირკვა ვინ ვინ არის. საქმე იქამდე მივიდა, რომ ყოფილი საბჭოთა პროვინციელი მსახიობი და ყოფილი საბჭოთა მინისტრი ვ.ბოჭორიშვილი პრეზიდენტს სილბოსა და სათნოებას უწუნებს და რეპრესიებისაკენ მოუწოდებს. პრეზიდენტიც არ აყოვნებს: რა ვქნა, რბილი ვარ მიტომ, რომ თქვენ არ მეხმარებით მტრების მხილებაშიო... აი, ჩვენი დემოკრატია, აი, ჩვენი აკადემიკოსი...

ალბათ, გაგიგონიათ რას აბრალებდნენ 1937 წელს ასევე მწერალთა ერთ ჯგუფს, რას და ფაშისტებთან ურთიერთობას, ზოგი მათგანი გაუყენეს ციმბირისაკენ და დახვრიტეს. შემდეგ, მადლობა უფალს, დადგა ჟამი, როცა დაიგმო ეს საშინელი რეჟიმი თავის დამბეზღებლებით, თითქოს გათენდა, მაშ რას გვაბრალებენ დღეს, ამ გაგანია დემოკრატიის დროს? სიტყვასიტყვით მოვიტან 6 დეკემბერს გაზეთში დაბეჭდილი წერილიდან აბზაცს: „პენკლუბის წევრები წესით ვერ უნდა გახდნენ ის მწერლები, რომელნიც შემჩნეული არიან ადამიანის უფლებათა შელახვაში, სხვა მწერლების ჩაგერასა და ფაშისტურ ან კომუნისტურ რეჟიმთა აქტიურ თანამშრომლობაში. თუ გულდასმით გადახედავთ ქართველი მწერლების პენცენტრის საორგანიზაციო კომიტეტის სიას, მსგავსი პრეცენდენტის აღმოჩენაც არ გაგვიჭირდება"...

შემდეგ, თქვენ წარმოიდგინეთ, ბერიას თანამებრძოლებზეცაა ლაპარაკი... მეტი რა ქნას ერთმა კაცმა? დაბეზღებული ხარ, ახლა საჭიროა დამსჯელმა ორგანოებმა აღასრულონ თავის მოვალეობა.

**—თქვენ რას ფიქრობთ, რას ან ვის უპირისპირებენ ოპოზიციას, ყველაზე უფრო საშიში მტერი ვინაა ოპოზიციისათვის?**

—ცოტა შორიდან დავიწყებ, ორი სექტემბრის მშვიდობიანი მიტინგის დარბევა და სისხლისღვრა ომონის მიერ ვანდალური აქცია იყო, ვის დაბრალდა? ოპოზიციას...

მაგრამ რა მოხდა? ის, რომ ორმა სექტემბერმა ხალხი გააერთიანა. ახლა რამდენიც არ უნდა იძახონ სიტყვა „პუტჩი", ქვეყანა ჩალით არაა დახურული. გაერთიანებულ ხალხს, რომლებსაც ყველა დანარჩენი ოპოზიციური პარტია შეუერთდა „ოპოზიცია" დაერქვა, რომლის წინააღმდეგ აუცილებელი იყო გზა გამონახულიყო, ამ გზას ჩვენში დიდი ძებნა არ სჭირდება, იგი ნაცადი და ბოლშევიკურია. ამ დროს, თუ გინდა ხალხს თვალებში ნაცარი შეაყაროთ, ოპოზიციას უნდა დაუპირისპირო „შრომითი კოლექტივები", პრესითა და რადიოთი, ტელევიზიით წამდაუწუმ უნდა გადმოსცე და უნდა დაბეჭდო „მშრომელთა წერილები", სადაც ხალხი მოითხოვს სიმშვიდესა და „მტრების" დასჯას. დაიწყო ხელმოწერები ოპოზიციის ლიდერთა დაპატიმრებაზე. დაიწყო შანტაჟი, ოპოზიციას დაემუქრნენ ფიზიკური ანგარიშსწორებით, გაუსწორდნენ კიდევაც, მაშ რა უნდა გიორგი ხაინდრავას ციხეში?

გავიხსენოთ 16 სექტემბერი. ამ დროს რესპუბლიკის მოედანზე თავისი ნებით შეიკრიბა 50 ათასი კაცი, „მშრომელთა წერილებით" გაღიზიანებული ხალხი ისევ გამთლიანდა.

ალბათ გახსოვთ ეგრეთწოდებული „მშვიდობიანი მომიტინგენი" როგორ დაესხნენ თავს რუსთაველზე მართლა მშვიდობიანი პარტიის წევრებს, დაარბიეს ისინი და აქაც სისხლი დაიღვარა. ძმამ ძმას გადაუარა.

4-5 ოქტომბრის სისხლიან ღამეს ჩემი ყურით მოვისმინე როგორი მგზნებარებით გაჰყვიროდა ერთი ცოდვილი „მიჯრით ესროლეთო". ამ ღამით მომხდარი სამარცხვინო საქმის გამო, გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ" სწორი და ადამიანური პოზიცია დაიკავა, რისთვისაც მისი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი განთავისუფლდა რედაქტორობიდან (რა თქმა უნდა თავისი განცხადებით).

საკუთარი განცხადებით წავიდა საქართველოს პრემიერ მინისტრი ბატონი თენგიზ სიგუა. რაღა თქმა უნდა, საკუთარი განცხადებით გაუშვეს საქართველოს გენერალური პროკურორი ბატონი ვახტანგ რაზმაძე. მადლობა ღმერთს, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც ზნეობა უფრო მაღლა დაუყენებიათ, ვიდრე კარიერიზმი და უსინდისობა.

საქართველო გაიყო? რა, პარლამენტი კი არ გაიყო? მე მჯერა, რომ საქართველო უმალ შეერთდება, ორი საქართველო არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ რას იზამს ოთხად გახლეჩილი პარლამენტი, იქნებ ესეც „ოპოზიციის" ბრალია? ეს რაღაა გაზეთებში ინტელიგენცია ქუჩებისა და უბნების მიხედვით რომ გამოყვეს, მე მესმის რომ ინიშნება რექტორი, ინიშნება პრეფექტი, მაგრამ თუ მწერლის მწერლად დანიშვნა შეიძლებოდა და ინტელიგენტის ინტელიგენტად, ეს აღარ ვიცოდი. დღეს ყველა და ყველაფერი ინიშნება ერთპიროვნულად.

**—გამოსავალს რაში ხედავთ?**

—მე რომ ასე შორს ვიხედებოდე, დღემდე დახვრეტილი ვიქნებოდი...

ყოველ შემთხვევაში, ერთი კი ვიცი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს შენება ლანძღვითა და გინებით არ შეიძლება.

ბევრი უნდა ვიფიქროთ სამშობლოზე და ცოტა საკუთარ თავზე...

იმედი ახალგაზრდობაა, ზნეკეთილი ახალგაზრდობა, რომელიც უზნეობას ებრძვის, ამის დასტური იყო ამასწინანდელი ტელეგადაცემა.

ესაუბრა
კ.ლიკლიკაძე

ინდექსი 66447

ფასი 1 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35 ტელ. 22-16-01
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ ბრიგალაშვილი